პროლეტარებო მთელი ქვეყნის შეერთდით!

[illegible]

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. ა. და
მატრ. დეპ. საბ.
[illegible] ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქტორთან საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე
ტელეფონები 14—76. რედაქტორის.
10—58. მდივანის.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24,
ტელეფონი 10—49
ერთის თვის ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეებისათვის 65 კ. დაწესებულებისათვის და [illegible] 85 კ. [illegible]—95 კ. განცხადებები: 20 კ სტრიქონი. [illegible] ცნობები 5 მ. [illegible] განცხადება მოწმობის დაკარგვის შესახებ—50 კ. [illegible] განცხ.—სულ 15 კოპ. ცალ. ნომერში [illegible]

№ 126 (981) ოთხშაბათი, 4 ივნისი 1924 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 4 კაპ. (500 მილ.)
№ 126 (981)

დღეს

ალბანეთში მთავრობის ჯარი მიემხრო აჯანყებულებს.

გრძელდება ლონდონის კონფერენციის [illegible] სხდომები.

პოლონეთი ცდილობს [illegible].

ნორვეგიის მეტალისტთა გაფიცვა დამარცხდა უმთავრესად პროფკავშირთა ხელმძღვანელების წყალობით.

იტალიის სახელმწიფო მრეწველობაში გრძელდება მუშების გაფიცვა.

ჩვენი ვაჭრობა

მე 13 ე ყრილობის რეზოლიუციაში, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, სხვათა შორის, ნათქვამია: „პარტია არ ხედავს არავითარ საფუძველს ახალი ეკონომიური პოლიტიკის გადასინჯვისათვის (თვლის მორიგ ამოცანად სისტემატიურ მუშაობას ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე სოციალისტური ელემენტების გასაძლიერებლად მეურნეობაში“.

როცა ახალი ეკონომიური პოლიტიკა შემოვიღეთ, ჩვენ იმ თავითვე კარგად ვიცოდით, ყველაზე უკეთ ეს ესმოდა მის ავტორს—ლენინს, რომ ეს პოლიტიკა ორპირიან იარაღს წარმოადგენს.

საქმის მთელი სიმძიმე იმაში მდგომარეობს, თუ ვინ უფრო წარმატებით გამოიყენებს მას—სახელმწიფო—პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიური საფუძვლების განსამტკიცებლად, სოციალისტური მეურნეობის განსავითარებლად, თუ ახლად მოვლენილი ბურჟუაზია თავისი პოზიციების გასამაგრებლად.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ნიადაგზე მიაღწია დიდ შედეგებს: დაიწყო ფრიად მნიშვნელოვანი აღორძინება სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის, აიწია შრომის ნაყოფიერებამ, გაიზარდა შრომის ხელფასი და სხ.

მაგრამ იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ კერძო კაპიტალმა დაიპყრო ზოგიერთი პოზიციები. უმთავრესად და პირველ ყოვლისა ეს შეეხება ვაჭრობას. საბჭოთა ფაბრიკები აწარმოებენ საქონელს, მაგრამ ეს საქონელი მომხმარებლამდე დღემდე აღწევდა მეტ-წილად კერძო ვაჭრობის საშუალებით.

ამით, ერთი მხრით, იქმნებოდა საფრთხე ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის დარღვევის, მეორე მხრივ—ახალი ბურჟუაზიის ეკონომიური გაძლიერების, მის ხელში დიდ ძალ კაპიტალის დაგროვების.

დღემდე ჩვენ ვერ მოვახერხეთ სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის რიგიანად და ფართო მასშტაბით დაყენება.

ამ გარემოებას კარგახანია მიქცეული აქვს განსაკუთრებული ყურადღება. დღის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის კარგი და ფართო ორგანიზაციით თანდათან დავიპყროთ ბაზარი, კერძოთ ქალაქთა ბაზარი, და ასევე თანდათანობით შევზღუდოთ და განვდევნოთ ვაჭრობის სფეროდან კერძო კაპიტალი, კერძო ვაჭარი, ხოლო რამდენადაც კერძო ვაჭრობის დატოვება კვლავ აუცილებელი ხდება ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ჩვენ უნდა დავუქვემდებაროთ ის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების და გეგმიანობის პრინციპებს.

ამ აზრით ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია შინაურ ვაჭრობის შესახებ და დაადასტურა ცეკას პლენუმის და პარტკონფერენციის დადგენილება შინვაჭრობის კომიტეტის გარდაქმნაზე შინვაჭრობის სახ. კომისარიატად.

ამ კომისარიატს ენიჭება ფართო უფლებები და მას დაკისრებული აქვს მეტად რთული ამოცანა ჩვენი შინაურ ვაჭრობის ხელმძღვანელობის და მოწესრიგების. დადგენილ იქნა ეს კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები გაძლიერებულ იქნას კომუნისტ მუშაკებით.

დასახული მიზნების მისაღწევად ვაჭრობის სფეროში ჩვენ უნდა მივმართოთ პირველყოვლისა ეკონომიურ ხასიათის ღონისძიებებს. სახელმწიფო სავაჭრო განყოფილებების გახსნა, კოოპერაციის ქსელის გაფართოვება და მასში ჩაბმა მთელი მშრომელი მოსახლეობის, ფართო საკრედიტო შეღავათები ამ ორგანიზაციებს, იაფი და მოქნილი სავაჭრო აპარატის მოწყობა, ფასების სწორი პოლიტიკა, შუამავლების განდევნა ჩვენი ვაჭრობის პრაქტიკიდან,—აი, ის ზომები, რომლებიც ჩვენ უნდა გავატაროთ სისტემატიურად.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ხსენებული რეზოლიუციის ერთი ადგილი: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განაპირა კუთხეებში სახელმწიფო ვაჭრობასა და კოოპერაციისათვის შეღავათიან პირობებში კრედიტების გაცემას და მათთვის განსაკუთრებული ხელისშეწყობას,—ბრძოლის მიზნით საგაზო და დამონებელ დამოკიდებულებებთან, რომლებსაც ქმნის იქ სავაჭრო კაპიტალი“.

ამ მომენტს აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

ჩვენ საკმაო მასალა გვქონდა დამოწმებული, თუ რა ზარალი მოჰქონდათ სოფლისათვის, თუ რა განსაცვიფრებელ გავლენას ახდენდნენ ზოგიერთი ტრესტების წარმომადგენელთა სამოსამსახურო გახრწნილი ბირჟის სპეკულიანტები (გაიხსენეთ მაგ., კესლერის საქმე).

უშუალო ურთიერთობის დამყარება ცენტრისა და ადგილობრივ სახელმწიფო-სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის შექმნის ადგილობრივ ჯანსაღ მდგომარეობას. და ამ მიმართულებით კიდევაც მიღებულია გადამჭრელი ზომები.

საერთოდ ყრილობის რეზოლიუცია მტკიცე და გარკვეულ კალაპოტში აყენებს ჩვენს სავაჭრო პოლიტიკას და საქმიანობას. სისტემატიური ბრძოლა კერძო ვაჭრობასთან, მისი თანდათან განდევნა სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის გზით,—აი, მისი ძირითადი აზრი.

პარტიის 11 ყრილობაზე ლენინმა განაცხადა, რომ შეჩერებულია უკან დახევა ეკონომიურ ფრონტზე. მას შემდეგ ჩვენ ვამტკიცებთ შენარჩუნებულ „მბრძანებელ მწვერვალებს“, ვაფართოვებთ დაპყრობილ პოზიციებს და გადავდივართ „მშვიდობიან“ შეტევაზე ქვეყნის მთელი ეკონომიკის ხელში ჩასაგდებად. დღეს ჩვენს ერთ ძირითად ამოცანათაგანს შეადგენს ვაჭრობის დაპყრობა. აქეთკენ უნდა იქნეს მიმართული როგორც შინაურ ვაჭრობის კომისარიატის, ისე კოოპერაციის და სხვა სათანადო ორგანოების მთელი ენერგია.

ადგილობრივი ფინანსები ა.-კავკასიაში

I

„ადგილობრივი ფინანსები“ იმ შინაარსით, როგორც ეს ესმის საბჭოთა ხელისუფლებას და მის საერთო ფინანსიურ სისტემას, ახალი ცნებაა. ადგილობრივი ფინანსები, ე. ი. ადგილობრივი მეურნეობა არსებობდა წინადაც, მაგრამ ეს მეურნეობა არსებითად უპირდაპირდებოდა სახელმწიფო მეურნეობას, სახელმწიფო ფინანსებს. ძველი სახელმწიფო ხელისუფლება მტრულს განწყობილებაში იყო ადგილობრივ თვითმართველობისადმი და მხოლოდ ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ შეანგრია ის უფსკრულის კედელი, რომელიც აშორებდა ადგილობრივ ორგანოთა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შექმნილ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სისტემა ცენტრში და ადგილობრივ ერთგვარია როგორც ფორმით, ისე შინაარსით აქაც ძალაუფლება ეკუთვნის ამავე მუშათა და გლეხთა დეპუტატებს როგორც ცენტრში, ადგილობრივ ორგანოებშიც გამეფებულია იგივე მუშურ-გლეხური იდეოლოგია და პსიქოლოგია, როგორც ეს ცენტრშია. ამიტომ არავითარი დაპირისპირება, არავითარი ანტაგონიზმი მათ შორის ადგილი არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ამ ძირითადი თვისებიდან გამომდინარეობს ადგილობრივ და სახელმწიფო მეურნეობათა შორის ურთიერთ დამოკიდებულების თვისებებიც. აქ ადგილობრივი მეურნეობა კი არ უპირდაპირდება სახელმწიფო მეურნეობას, არამედ იგი გაგრძელებაა სახელმწიფო მეურნეობის, სახელმწიფო ფინანსების. ის ფორმაა სახელმწიფოს სამეურნეო მუშაობისა და საშუალება სახელმწიფო მიზნებს განსახორციელებლად სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და განვითარებისათვის.

აღნიშნული შინაარსით „ადგილობრივი ფინანსები“ ახალი ცნებაა და მას თავისი ისტორია აქვს როგორც სპეციალურ ლიტერატურაში, ისე საკავშირო საბჭოს ცაკის დადგენილებებში. არა ერთხელ გატარებულა ის აზრი, რომ ადგილობრივმა ბიუჯეტმა უნდა გაანთავისუფლოს სახელმწიფო ბიუჯეტი სხვადასხვა ხარჯებიდან და უმთავრესად ადგილობრივ მნიშვნელობის ხარჯებიდან. მაგრამ ადგილობრივი მნიშვნელობის ხარჯების გამიჯვნა სახელმწიფო ეროვნულ მნიშვნელობის ხარჯებიდან მეტად ძნელია. სახელმწიფოსათვის არ შეიძლება სულ ერთი იყოს, იქნება თუ არა ამა თუ იმ მაზრას საავადმყოფო, გზები, სკოლები და სხვა. ამ დაწესებულებებში სახელმწიფო ისევე უნდა იყოს დაინტერესებული, როგორც ადგილობრივი ორგანო.

აგრეთვე სულ ერთი არ არის ადგილობრივ ორგანოსათვის ის გარემოება, აქვს თუ არა სახელმწიფოს უმაღლესი სასწავლებლები და საკმაო რაოდენობით ჰყავს თუ არა მას ჯარი, აქვს თუ არა რკინის გზები და სხვა. ამიტომ ადგილობრივ და სახელმწიფო მნიშვნელობის ხარჯების სისრულით გამიჯვნა თუ შეუძლებელი არა, ფრიად საძნელო მაინც არის.

ასეთის შეხედულებას, ამგვარის განმარტებას ადგილობრივი ფინანსების უსათუოდ შედეგად უნდა მოჰყოლოდა და კიდევაც მოყვა შეხმატკბილებული, შეთანხმებული მუშაობა-მოღვაწეობა სახელმწიფოს და ადგილობრივ ორგანოებისა.

გასაბჭოების პირველ ხანებში მთლიან სისტემად არ იყო ჩამოყალიბებული ეს შეხედულება. ადგილობრივი ორგანოების მესვეურნი იმ დროს ჯერ კიდევ ძველებური თვითმართველობის შინაარს სდებდნენ ახლად შექმნილ ადგილობრივ ორგანოს არსებაში. მათ წარმოედგინათ, რომ ადგილობრივ მეურნეობის წარმოება სახელმწიფო მეურნეობიდან განცალკევებით შეუძლებელია ძველ თვითმართველობათა გარეშე, ამ უკანასკნელთა არსებობა კი დაუშვებელი იყო. ეს შეხედულება შეიქმნა სახელმწიფოსა და ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტების, მეურნეობის გაერთიანების მიზეზად გასაბჭოების პირველ ხანებში.

ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, და სრულიად გაწყვიტა კავშირი არა მარტო მონარქიულ რუსეთის დაწესებულებებთან, არამედ კერენსკის მთავრობასთანაც, რომელიც პოლიტიკურ გზების ჯვარედინზე იდგა, ვერ შესძლო პირველ ხანებში სამოქალაქო ომის წარმოების პერიოდში, (და ვერც შეძლო) ადგილობრივ ფინანსების შენება.

სამხედრო კომუნიზმის ხანა, თავისი ნატურალურ განაწილებით თავისუფალ ბაზრის გაუქმებით და სახელმწიფოს უფასო სამსახურით ადგილობრივ მეურნეობის მეტად საზიანო ხანად უნდა ჩაითვალოს, რამაც ეს მეურნეობა დააცარიელა და შემდეგ მის აღდგენას ზედმეტი შრომა და ენერგია დასჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ რ. ს. ფ. ს. რ. პირველ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებული იყო 1918 წლის 10 ივლისს სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის მიერ დადასტურებულ იქნა ადგილობრივი ფინანსები და ადგილობრივი ბიუჯეტი, ადგილობრივი ორგანოები კიდევ დიდხანს შეჰყურებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს დახმარების მისაღებად და თავის მეურნეობას აწარმოებდნენ სახელმწიფოს მიერ გაღებულ თანხებით.

რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 8 დეკემბრის დებულებით განიმარტა და განისაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტი რუსეთში. მაგრამ ადგილობრივი მოღვაწენი მაინც ვერ ურიგდებოდნენ ამ მდგომარეობას და მთელს იმედებს სახელმწიფო ბიუჯეტზედ ამყარებდნენ. ამგვარს მათს შეხედულებას და მისწრაფებას საფუძვლად ედო, უპირველეს ყოვლისა, გაპარტახებული ფინანსიური მდგომარეობა, რაც შედეგი იყო ხანგრძლივი გამანადგურებელი ომისა და შემდეგ არა ნაკლებ გამანადგურებელი სამოქალაქო ომისა კონტრ-რევოლიუციონურ, შავბნელ რაზმებთან.

მეორეს მხრივ—ზემოთ მოყვანილი შეხედულება ადგილობრივ მეურნეობის მესვეურებისა, რომელნიც ვერ წარმოედგინათ ადგილობრივი მეურნეობა სახელმწიფო მეურნეობის გარეშე თუ არ იქნებოდა თვითმართველობა ძველებური, დიდი [illegible] შემოღებით. ეს შეხედულება ადგილობრივ მეურნეობაზედ ნათლად გამოითქვა ფინანსიური დარგში მომუშავეთა ყრილობაზედ 1919 წლის 21—25 მაისს.

ამ ყრილობამ ადგილობრივი ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფის წინააღმდეგ გაილაშქრა და დაადგინა კიდეც, რომ 1918 წ. 8 დეკემბრის დეკრეტი ადგილობრივ ფინანსების შესახებ გაუქმებულ იქნას ყრილობის შეხედულებით ყველა ადგილობრივი ხარჯი დაფარულ უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ფინანსიურ მოღვაწეთა აღნიშნული ყრილობის დადგენილებებმა მმართველ წრეებში გაიმარჯვეს და სრულიად რუსეთის ცაკის, მეორე სესიის, 1920 წ. 18 ივლისის, სხდომაზედ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტების განცალკევება უარყოფილ იქნას, ადგილობრივი შემოსავალი და გასავალი შეტანილი იქნას საერთო სახელმწიფოს ბიუჯეტში. ამგვარად ფინანსიურ მოღვაწეთა მიერ გამოთქმული სურვილი ლეგალიზაციურად დაკანონდა.

ამ ფრონტის შეცვლის მთავარ მიზეზად გახდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამოცხადება.

ვ. ხ—ძე.

მოსამსახურეთათვის 8 საათის სამუშაო დღის შემოღების საკითხი

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

უმაღლეს სამეურნეო საბჭოსა, შრომის სახალხო კომისარიატსა და რუსეთის პროფ. კავშირების ცენტრალურ საბჭოში დასმულია საკითხი საბჭოთა მოსამსახურეთათვის 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. აქამდე შრომის კანონების კოდექსით კანტორის და გონებრივ მომუშავეთა სამუშაო დღე არ აღემატებოდა ექვს საათს. მხოლოდ გამონაკლისი დაშვებული იყო იმ კანტორის მოხელეთა მიმართ, რომელთა მუშაობა უშუალოდ დაკავშირებულია წარმოებასთან. მათთვის სამუშაო დღის ხანგრძლივობა ისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რამდენს მუშაობენ ამ წარმოებაში ჩაბმული მუშები;—თუ რვა საათს მუშაობენ, კანტორის მოხელეების სამუშაო დღეც რვა საათით არის დაწესებული; თუ 7 საათს, კანტორის მოხელეებიც შვიდ საათს მუშაობენ.

ახალი პროექტით ყველა მოსამსახურეთათვის (კანტორის და გონებრივად მომუშავეთათვის), სადაც არ უნდა მსახურობდნენ ისინი—საბჭოთა დაწესებულებებში, სამეურნეო ორგანოებში (ტრესტებში, სინდიკატებში) და წარმოებებთან არსებულ კანტორებში,—უნდა შემოღებულ იქნას 6 საათის სამუშაო დღის მაგიერად 8 საათის სამუშაო დღე.

პროექტის მომხრეები საკითხს ასაბუთებენ შემდეგი მოსაზრებებით:

საქარხნო მუშების და მოსამსახურეების სამუშაო დღის ხანგრძლივობის გათანასწორება;

6 საათის მუშაობა არ ყოფნის მიმდინარე საქმის შესრულებას საბჭოთა დაწესებულებებში და ყველგან სწარმოებს ზედმეტი მუშაობები (сверхурочная работа);

მოსამსახურეთა შრომა ჩვენს დაწესებულებებში ძალზე ნაკლები ინტენსივობით სწარმოებს, რის გამო დაღლილობას, რომელიც შეიძლება იქნეს 6 საათის სამუშაო დღის აუცილებლობის მოტივად, ადგილი არა აქვს. ჩვეულებრივი ინტენსივობის გონებრივი შრომა უფრო დამღლელია, ვიდრე ფიზიკური, მაგრამ ახლა ჩვენს დაწესებულებებში შრომა საგრძნობლად დაშორებულია ჩვეულებრივ ინტენსივობას.

პროექტის მოწინააღმდეგეები, ანუ 6 საათის სამუშაო დღის დატოვების მომხრეები ემყარებიან შემდეგს:

გონებრივი შრომა უფრო დამღლელია, ვიდრე ფიზიკური (რაც დამტკიცებულია მეცნიერულად) თუ ახლა საბჭოთა დაწესებულებებში შრომის ინტენსივობა ჩვეულებრივზე უფრო ნაკლებია, ამისათვის საჭიროა ინტენსივობის გადიდება და არა სამუშაო დღის 6 საათიდან 8 საათამდე აყვანა;

ახლა წარმოებული სისტემატიური ზედმეტი სამუშაოები, უნდა ჩაითვალოს საქმის ცუდად დაყენების და უთავბოლო ხელმძღვანელობის შედეგად. ზედმეტი სამუშაოები უნდა მოისპოს და მისი აღნიშნული სიმრავლე არ უნდა გახდეს 6 საათის მაგიერად 8 საათის სამუშაო დღის შემოღების მიზეზათ.

8 საათის შემოღება ნავარაუდევ ხარჯების ეკონომიას არ მოგვცემს, ვინაიდან სამუშაო დღის გადიდება გამოიწვევს სამუშაო ხელფასის ფონდების გაზრდას.

სამუშაო დღის გადიდება 8 საათამდე გაამრავლებს უმუშევართა რიცხვს. მიზანშეწონილი კი იქნებოდა ახლანდელი სამუშაო დღის შემცირება, რაც საშუალებას მოგვცემდა უმუშევრების ენერგია, რომელიც ახლა ფუჭად იკარგება, გამოგვეყენებინა სამუშაოებზე, მით უმეტეს, რომ უმუშევრების შესანახად ადგილი აქვს საგრძნობელ ხარჯებს, რომელსაც ეწევა სახელმწიფო.

პოლიტიკურად მოსამსახურეთათვის 8 საათის სამუშაო დღის შემოღება ვერ გამართლდება, ვინაიდან ჩვენ ამით აგვამხედრებთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მოსამსახურეთა მთელ მასას და ისინი მხარს აღარ დაუჭერენ პროლეტარულ რევოლიუციას.

ამ სახით დასმულია საკითხი მოსკოვში. საკითხის გარშემო გამართული კამათი როგორც არ უნდა გადაწყდეს ის, მაინც ყველასათვის უდავო არის, რომ საბჭოთა დაწესებულებებში შრომის ინტენსივობა დაბალია და საჭიროა მისი ნორმალურ დონემდე აყვანა, რაც შესაძლებელია 8 საათის სამუშაო დღის შემოღებით, ანდა თვით მუშაობის ინტენსივობის გადიდებით.

ლან—ძე.

მოსკოვი, 28 მაისი.

თეთრგვარდიელთა პრესა

„ეკატერინეს გოდება“

„რუსეთის“ [illegible]-ზედ დამწუხრებულთა შორის არა უკანასკნელი ადგილი უკავია ცნობილ მწერალ ქალს ეკატერინე კუსკოვას. ის მოსთქვამს სამშობლოს დაღუპვაზე, ძველი რუსეთის, გაერთიანებული რუსეთის იდეის დამარცხებაზე. აგერ წინაზე ერთ-ერთ თავის წერილში ის კითხულობდა: სადღა არის რუსეთი, ის აღარ არსებობს. აღარავინ იცის სად იწყება და თავდება მისი საზღვარი. არის უკრაინა, ბელორუსია, საქართველო და სხვ. მაგრამ აღარ არის რუსეთი.

რაც შეეხება ენის საკითხს—ყველგან, ყველა ერების საქმე ბევრად უკეთესად მიდის, ვინემ რუსების, რადგან მათი ენა თანდათან იდევნება ამ რესპუბლიკებიდან. ყოველივე ამაში დამნაშავე არიან სტალინი და პოლიტბიურო.

ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა, რომ არ მოეწონება შოვინისტებს (ამ შემთხვევაში ვლაპარაკობთ მხოლოდ რუს დიდმპყრობელებზე), რომლებიც მოფარებული არიან სოციალისტ რევოლიუციონერების გაზეთ „დნი“ შიგნით ცხადია. ჩვენ არც დავისახავთ მიზნათ მათ დაკმაყოფილებას.

მაგრამ ამ ვაჟბატონებს არა მარტო ამაზე ეწვისთ გული, რომ დიდმპყრობელური შოვინიზმი თანდათან მარცხდება. მათთვის თავსატეხი შეიქმნა უკანასკნელ ხანებში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შედეგიც.

ჩვენ აღვნიშნეთ ამ დღეებში მენშევიკების (Социалистический Вестник) აღშფოთება იმის გამო, რომ სახელმწიფომ ენერგიულად დაიწყო ჩარევა შინაური ვაჭრობის საქმეში და ზღუდავს მეტის მეტად ფრთებგაშლილ კერძო სავაჭრო კაპიტალის ძალას. დღეს იგივე ეკატერინა კუსკოვა ცრემლებს ღვრის, მოსთქვამს, რომ ეს საწყალი ბოლშევიკები სამარეს უთხრიან და სრულიად აუქმებენ „ნეპ“-ს.

ცხადია, რა აწუხებთ ამ ვაჟბატონებსა და ქალბატონებს მენშევიკებისა და ესერების გაზეთებიდან მთელი ეს განგაში იმათი მხრით, რომლებიც კაპიტალიზმის სრულ აღდგენას ელოდნენ რუსეთში იმის მოლოდინში, რომ „[illegible]“ ე. ი., პოლიტიკური წყობილებაც გამოიცვლება,—ეს განგაშიც მოწმობს, რომ ჩვენი პარტია და ხელისუფლება სწორ გზაზე დგანან და აკეთებენ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საქმეს. ეს გამოსვლა უბადრუკი სოციალ-რეაქციონერებისა მოწმობს კიდევ ერთხელ, რომ „ნეპის“ განვითარებაზე ამყარებენ უკანასკნელ იმედებს კონტრ-რევოლიუცია და რომ აღებული კურსი ჩვენი პარტიისა სწორად ურტყამს მიზანში“.

ამათ იმართლებენ თავს!

ამ დღეებში ჩვენ გავაცანით მკითხველებს „დიდი მთავარის“ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის აზრები და გეგმები. იქვე აღვნიშნეთ სოც.-რევოლიუციონერების შეხედულება რეაქციის მეთაურის განცხადებაზე. ვიტყვით, რომ „სოციალისტ-რევოლიუციონერები“, რომლებიც რესპუბლიკანელთ და დემოკრატიის სახელით რეაქციის ამ მეთაურს, თვით არიან კონტრ-რევოლიუციონერები და იყურებიან მონარქიისაკენ, ეხმარებიან მონარქისტებს.

ესერების „დემოკრატობაში“, როგორც ეტყობა, ეჭვი შეუტანია თვით მილიუკოვის გაზ. „პოსლედნიე ნოვოსტი“-ს სწორედ იმ წერილის გამო, რომელიც ესერების გაზეთმა უძღვნა დიდი მთავარის განცხადებას, და რომლიდანაც ამონაწერი მოვიყვანეთ ჩვენ.

„დნი“ (21 მაისი) ეკამათება მილიუკოვს. რითი იმართლებს თავს ესერების გაზეთი? დიდი არაფერი: უბრალო სიტყვებით იმის შესახებ, რომ ასეთი ბრალდება სასაცილოა. ეს არის და ეს. მართლაც საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნენ ესერები. მილიუკოვს საბუთი აქვს იყოს უკმაყოფილო ამ „სოციალისტებით“, რადგან მათ წამოროშეს, რაც ენაზე მოადგათ და ვერ დაფარეს ის, რისი დამალვაც უეჭველად უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მილიუკოვისა და ესერების მსგავს „დემოკრატებისათვის“. კადეტების გაზეთი ბრალსა სდებს ესერებს, რომ მათი განცხადებით ისარგებლებენ კომუნისტები და არც სტყუის ამაში. ესერების განცხადებამ—სწერს გაზეთი—

„გაამრავლა ბ-ნ ძერჟინსკების მომხრეთა რიცხვი და ახალი დემაგოგიური იარაღი მისცა ხელში ბოლშევიკებს ბრძოლისთვის ნამდვილ და ერთგულ მოწინააღმდეგეების“ ო.

ჩვენ კარგათ გვესმის ქვეყანი მონარქისტებისა და რეაქციის მსახურთა [illegible] მათ ინტერესს სრულიადაც არ შეადგენს გულახდილად სთქვან ესერებმა ის, რასაც ფიქრობენ და ამით ჩაუშალონ დიპლომატიური თავიანთ მოკავშირეებს კადეტების ბანაკიდან, მაგრამ სწორედ ამ მიზნის გამო ჩვენი მოვალეობაა დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ის, რაზედაც ფიქრობენ და ოცნებობენ ქვეყანი მონარქისტები და დაუფიქრებლად ლაპარაკობენ ხეპრე „სოციალისტები“, როდესაც ისინი ამჟღავნებენ თავიანთ გულის ნადებს და „დემოკრატი“-ს ტანისამოსში გამოხვეული „მემარცხენე“ კადეტების აზრებს და გეგმებს.

კონტრ-რევოლიუციონური გამყარებული სახის დამალვა არ შეუძლიათ არა მარტო „მემარცხენე“ ლიბერალებს, არამედ „სოციალისტ-რევოლიუციონერებსაც“, რომლებიც ძველ „[illegible]“ შერჩათ კიდევ ეს სახელწოდება.

ტელეგრამები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საფრანგეთის ახალი მთავრობა

მთავრობის შედგენა მიენდო ერრიოს.

პენლევე იქნება დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ.

ერრიომ მიიღო მაკდონალდის წერილი.

ერიოს დაევალა კაბინეტის შედგენა.

პარიზი. 3 ივნისი. ერიომ მიიღო წინადადება ახალი მთავრობის შედგენის შესახებ. მემარცხენე პარტიების დადგენილება, რომელიც მიმართულია პრეზიდენტ მილერანის წინააღმდეგ, საგრძნობლად ართულებს პოლიტიკურ მდგომარეობას საფრანგეთში. მილერანის წინააღმდეგ გაილაშქრეს მემარცხენე ბლოკის ყველა პარტიებმა.

პარიზი. 3 ივნისი. გუშინ მემარცხენე ბლოკის პარტიების პლენარულ სხდომაზე ერიოს თავმჯდომარეობით და პენლევეს და ბლიუმის მონაწილეობით ერთხმად მიღებულ იქნა პენლევეს კანდიდატურა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ხვალ შედგება სენატის მემარცხენე დემოკრატიული ჯგუფის კრება, რომელზედაც განხილული იქნება პოლიტიკური მდგომარეობა.

მაკდონალდი და ერიო.

ბერლინი. 3 ივნისი. პარიზიდან მიღებული ცნობით, ერიომ მიიღო მაკდონალდისაგან წერილი, რომელშიაც ინგლისის პრემიერი იტყობინება, რომ მას განზრახული აქვს პარიზში გამგზავრება.

მილიერანის წინააღმდეგ

საფრანგეთის თითქმის ყველა პარტიები მოითხოვენ მილერანის გადადგომას.

კომუნისტებმა პარლამენტში შეიტანეს წინადადება პრეზიდენტი მილიერანის გადაყენების შესახებ.

შეიქმნა მემარცხენეთა ბლოკი მილერანის წინააღმდეგ.

მილერანმა გადადგომა უნდა [illegible].

პარიზი. 1 ივნისი. რადიკალ-სოციალისტების თათბირის რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა ერთხმად, აღნიშნავს, რომ მილერანმა უფლებები გადააჭარბა, რისთვისაც უმრავლესობას არ შეუძლია მისთვის ნდობის გამოცხადება. ერიომ მოითხოვა გამოერიცხათ რეზოლიუციიდან ის მუხლი, რომელიც უკრძალავს მემარცხენე ბლოკის დეპუტატებს მილერანისაგან უფლებების მიღებას; ერიომ აღნიშნა, რომ მას სურს დაიტოვოს მოქმედების თავისუფლება, თუ მილერანი მას შესთავაზებს მთავრობის შედგენას.

სრული უნდობლობა.

პარიზი 1 ივნისი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობამ დაავალა სოციალისტ-დეპუტატებს ებრძოლონ ყოველგვარ მთავრობას, რომელსაც შეადგენს მილერანი.

მილერანთან მუშაობა შეუძლებელია.

პარიზი. 1 ივნისი. რესპუბლიკანელ სოციალისტების და სოციალისტების თათბირმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია მილერანთან თანამშრომლობის შეუძლებლობის შესახებ. ბრიანმა დასტოვა თათბირი ამ საკითხის გამო კამათის დაწყებისთანავე.

ერთიანი ფრონტი.

პარიზი. 1 ივნისი. მემარცხენე ბლოკის პლენუმმა ერთხმად მოიწონა რადიკალ სოციალისტების რეზოლიუცია მილერანისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

გადადგომა—რათაც არ უნდა დაჯდეს.

პარიზი. 1 ივნ. გაიხსნა საფრანგეთის პარლამენტი. თავმჯდომარემ—უხუცესმა დეპუტატმა პინარმა შესავალ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინანდელმა პალატამ, რომელიც მოწვეული იყო გამარჯვების დროს, ვერ მოგვცა ზავი. პინარმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მიერ რეპარაციების მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღწეული იქნება შეთანხმება მოკავშირეებთან და ამას დაამტკიცებს ერთა ლიგა. შემდეგ პინარმა აღნიშნა, რომ კომუნისტების წინადადება მილერანის გადადგომამდე პარლამენტის სხდომის გადადების შესახებ მიუღებელია, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. კომუნისტებმა ადგილებიდან მიაძახეს პროტესტით: „გადადგეს, გადადგეს“.

ერიოს სურს თანამშრომლობა სოციალისტებთან.

პარიზი. 1 ივნ. რადიკალების და რადიკალ-სოციალისტების პარტიის აღმასკომის სხდომაზე ერიომ განაცხადა, რომ მას სურს თანამშრომლობა მთავრობაში მემარცხენეების ბლოკთან, და დასძინა, რომ თუ სოციალისტები უარს იტყვიან მთავრობაში მონაწილეობაზე მაშინ არც ის მიიღებს მასში მონაწილეობას.

პენლევე მემარცხენე ბლოკის კანდიდატია.

პარიზი, 1 ივნ. მემარცხენე ბლოკის პლენუმმა, ერიოს წინადადებით, ერთხმად წამოაყენა პენლევეს კანდიდატურა პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

ჩვენ და საფრანგეთი

შარლ ჟიდი საბჭოთა კოოპერაციის შესახებ.

პარიზი. 1 ივნისი. საფრანგეთის კოოპერაციის ნაციონალურ ყრილობაზე შარლ ჟიდმა აღნიშნა საუკეთესო შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენენ საბჭოთა კავშირის კოოპერატივები, და წუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობამ შემოსვლის უფლება არ მისცა საბჭოთა კოოპერატორებს.

საფრანგეთის კომპარტიაში

პარტიის ეროვნულმა საბჭომ მიიღო ცეკას თეზისები

საბჭომ მიესალმა რუსეთის და გერმანიის კომპარტიებს

ოპოზიციამ განაცხადა, რომ საბოლოოთ დაემორჩილება ცეკას.

ოპოზიციის გამოსვლა.

პარიზი, 1 ივნისი. სენ დენში შესდგა საფრანგეთის კომპარტიის ეროვნულ საბჭოს სხდომა. დაესწრო 170 დელეგატი—191 ფედერაციის წარმომადგენელი.

სულიემ თავის მოხსენებაში განმარტა ცეკას თეზისები გერმანიის, ინგლისის და რუსეთის საკითხების შესახებ. ოპოზიციის წარმომადგენელმა მონატმა გააკრიტიკა ცეკას თეზისები. ოპოზიციის განცხადებიდან გამოირკვა, რომ საფრანგეთის კომპარტიაში არსებობს მემარცხენე „მუშათა ჯგუფი“, რომელსაც მეთაურობენ მონატი, როსმერი და სუვარინი. მონატმა განაცხადა, რომ ჯგუფი დაემორჩილება ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილებებს.

კომინტერნის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს ოპოზიციის წინააღმდეგ და ხაზი გაუსვეს ყველა ევროპიული სახელმწიფოების კომპარტიების შეერთებული ბრძოლის აუცილებლობას.

საფრანგეთის და გერმანიის კომპარტიების შეერთებული ბრძოლა.

ინგლისის და გერმანიის კომპარტიების წარმომადგენლები მიესალმენ საბჭოს თავიანთი ამხანაგების სახელით და მოხსენება გააკეთეს კომპარტიების მდგომარეობის შესახებ. გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელი მოუწოდებდა საფრანგეთის კომპარტიას შეერთებულ ბრძოლისაკენ ექსპერტთა კომისიის პროექტის წინააღმდეგ, რომლის განხორციელება საბოლოოთ გაანადგურებს გერმანიის პროლეტარიატს. საბჭომ გერმანიის წარმომადგენელს გაუმართა გრანდიოზული ოვაცია როდესაც ის ტრიბუნიდან ჩამოვიდა, დარბაზში გაისმა ინტერნაციონალის სიმღერა.

დიდი უმრავლესობა მომხრეა ცეკას ხაზის.

კენჭის ყრამ მანდატების მიხედვით შემდეგი შედეგი გამოიღო: ცეკას თეზისებმა მიიღო 2 262 მანდატი, წინააღმდეგ ხმა მისცა 15 დელეგატმა.

ერთხმათ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ესალმება გერმანიის კომპარტიას და აღნიშნავს, რომ საფრანგეთის კომპარტია ყოველის მხრივ იბრძოლებს ვერსალის ხელშეკრულებისა და ექსპერტთა პროექტის წინააღმდეგ.

ერთხმათ მიღებული იქნა მისალმება რუსეთის კომპარტიის მე 13 ყრილობისადმი, რომელშიაც საბჭო აღნიშნავს თავის სოლიდარობას რუსეთის კომპარტიის ცეკასთან.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ საყოველთაო ამნისტიას და მეგობრულ ურთიერთობათა დამყარებას საბჭოთა კავშირთან; რეზოლიუცია ილაშქრებს რურის ოკუპაციისა, ვერსალის ხელშეკრულებისა და ექსპერტთა პროექტის წინააღმდეგ.

საფრანგეთი და პოლონეთი

საუკეთესო დახმარება.

ვარშავა. 1 ივნისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ერიომ განაცხადა, რომ საფრანგეთის დემოკრატია ყოველთვის მეგობრულად ეპყრობოდა პოლონეთს, ამიტომ პოლონეთს არ უნდა ეშინოდეს საფრანგეთის დემოკრატიული მთავრობის, რომელიც ეხლა უდგება სათავეში სახელმწიფოს.

ერიომ განაცხადა, რომ მას სურს რაც შეიძლება ჩქარა დამყარდეს მშვიდობიანი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან. მისი აზრით, ეს საუკეთესო სამსახურის გაწევა იქნება პოლონეთისათვის. პოლონეთმა, რომელიც მოკლებულია ბუნებრივ საზღვრებს, თავის აღმოსავლეთ მეზობლებთან უნდა დაამყაროს მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა.

გერმანიის ამბები

დაპატიმრებულ დეპუტატების განთავისუფლება.

ბერლინი. 1 ივნისი. რეიხსტაგის შინაური მუშაობის გამწესრიგებელმა კომისიამ განიხილა კომუნისტური და ტევტონური პარტიის წინადადება ორივე ფრაქციის დაპატიმრებული წევრების განთავისუფლების შესახებ და დაადგინა: განთავისუფლებულ იქნეს—ტევტონური პარტიის წევრი კრიბელი; კომუნისტები [illegible] და მიუნხენში დაპატიმრებული კომუნისტ-დეპუტატები ფლორინი, შლებახი და ბუხმანი. საკითხი კომუნისტ დეპუტატების პფეიფერის, ლინდაურის და ურბანსის განთავისუფლების შესახებ, განხილული იქნება კომისიის უახლოეს სხდომაზე.

არ მოისურვა?

ბერლინი. 1 ივნისი. გერმანიის პრეზიდენტმა უარყო სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წინადადება, რომ მთავრობის შედგენა დაევალოთ ნაციონალისტებს.

ხელს აბანენ.

ბერლინი. 1 ივნისი. სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ვინაიდან მოლაპარაკება ნაციონალისტებთან უშედეგოთ დამთავრდა, მისი როლი, როგორც შუამავლის, დასრულებულია. პარტია მხარს უჭერს შტრეზემანს და თვლის, რომ შტრეზემანი უნდა დარჩეს საგარეო საქმეთა მინისტრად, ხანამ თვითონ არ მოისურვებს გადადგომას.

კაბინეტის შედგენა.

ბერლინი. 3 ივნისი. გერმანიის კაბინეტის კრიზისი ჯერ კიდევ არ გადაჭრილა. გერმანიის ნაციონალისტებმა კვლავ მიმართეს რეიხსკანცლერს თხოვნით, რათა განაახლოს მან მოლაპარაკება სახალხო პარტიასთან.

ოსმალეთი და იტალია

ოსმალეთის მთავრობამ მიიღო ზომები ყოველგვარ მოულოდნელ საფრთხის წინააღმდეგ.

ოსმალეთის პრესა ილაშქრებს მუსოლინის წინააღმდეგ.

გრძელდება იტალიის ჯარების მობილიზაცია

იტალია განაგრძობს სამხედრო მზადებას.

სტამბოლი. 2 ივნისი. ოსმალეთის გაზეთებმა როდოსში იტალიის ჯარების კონცენტრაცია ყურადღების ცენტრად გახადეს.

პრესას მოყავს მუსოლინის სიტყვა, რომ საჭიროა გაფართოება ადმოსავლეთით და აგრეთვე ცნობა იტალიის ჯარების თავის მოყრას შესახებ კუნძულ სიცილიაზე და როდოსზე, მიუხედავად იმისა, რომ იტალიის საელჩო დამამშვიდებელ ცნობებს იძლევა.

გაზეთების სიტყვით, იტალიის ჯარების კონცენტრაცია ერთი ერთ ფაქტს წარმოადგენს იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც მიმართული არიან ოსმალეთის წინააღმდეგ.

გაზეთებში იბეჭდება დაცინვები და კარიკატურები მუსოლინიზე და ფაშისტებზე.

ოსმალეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ოსმალეთის მთავრობამ ოფიციალურად მოსთხოვა იტალიას განმარტებები ჯარების კონცენტრაციის გამო. სამხედრო და შინაგან საქმეთა კომისარიატს მჭიდრო კავშირი აქვს სმირნასთან და ანგორასთან.

კომისართა საბჭომ გამართა სპეციალური სხდომა იტალიის ჯარების კონცენტრაციის გამო.

ანგორის მთავრობა იტალიის საელჩოს დამამშვიდებელ ცნობებს სტამბოლიდან არ თვლის სერიოზულად. ოსმალეთის მთავრობამ მიიღო ზომები ყოველგვარი მოულოდნელი საფრთხის წინააღმდეგ.

ანგორის წრეებში ფიქრობენ, რომ ჯარების კონცენტრაციას მიზნად აქვს გავლენის მოხდენა მოლაპარაკებაზე მოსულში.

პარიზი. 3 მაისი. სტამბოლიდან მიღებული ცნობებით, ოსმალეთის მთავრობა არა დამაკმაყოფილებლად სთვლის იტალიის საელჩოს განმარტებებს კუნძულ როდოსზე იტალიის ჯარების კონცენტრაციის შესახებ. ისმედ ფაშამ დაავალა ოსმალეთის წარმომადგენელს რომში მოსთხოვოს იტალიის მთავრობას უფრო გარკვეული განმარტებები.

მდგომარეობა იაპონიაში

მუშები იცავენ თავის უფლებებს

ვლადივოსტოკი. 3 ივნისი. ოსაკის ლითონის ქარხანაში შეწყდა მუშაობა, რადგანაც მუშების მიერ შრომის ხელფასის გადიდების მოთხოვნა. მუშები იმუქრებიან ზომებს თავისი უფლებების დასაცავად.

ამერიკას ვერ ითმენენ.

ვლადივოსტოკი. 3 ივნისი. იაპონიიდან მიღებული ოფიციალური ცნობებით, სინდიკატი, რომელშიც ახლა მონაწილეობას იღებს იაპონიის მთავრობა, შეუდგა ნავთის წყაროების დამუშავებას ჩრდილოეთ სახალინზე. სახალინიდან ასახლებენ ამერიკის ნავთის კომპანიების წარმომადგენლებს.

აჯანყება ალბანეთში

ბრძოლა ტირანთან და სკუტარისთან.

ლონდონი. 3 ივნისი. მილანიდან მიღებული ცნობებით, ალბანელ აჯანყებულებსა და ალბანეთის მთავრობის ჯარებს შორის ბრძოლა სწარმოებს ტირანის ახლოს.

„დეილი მეილის" კორესპონდენტის ცნობით ბრინდიზიდან, მთავრობის ჯარები სამხრეთ-ალბანეთში შეუერთდნენ აჯანყებულებს. სკუტარის გარნიზონი აჯანყებულებს შეუერთდა.

პარიზი. 3 ივნისი. პარიზიდან მიღებული ცნობებით, მთავრობის ჯარებს და აჯანყებულებს ბრძოლა ჰქონდათ სკუტარისთან. მთავრობის ჯარებს მოუკლეს 81 კაცი, აჯანყებულებმა დაჰკარგეს—18.

იაპონიის ჯაშუშები

მოსკოვი 3 ივნისი ამ დღეებში საგუბერნიო სასამართლოში გაირჩევა საქმე იაპონელ ჯაშუშების კაზიმასის და ლეის, რომლებიც გადმოვიდნენ აიანში იქ პეპლიაევის ბანდების დროს თითქოს ვაჭრობის მიზნით და გადაიღეს იაპონიაში აიანის და მისი მიდამოების ფოტოგრაფიული და ტოპოგრაფიული სურათები. პეპლიაევის რაზმის განადგურების შემდეგ მათ სცადეს იაპონიაში გამგზავრება, მაგრამ შეპყრობილ იქნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნიკოლაევსკში—ამურზე.

მოწმეების სახით დაკითხულმა პეპლიაევმა და მისმა თანაშემწეებმა სავსებით დაადასტურეს იაპონელების დანაშაული.

სხვადასხვა ამბები

● **უცხოელი ბელადების მოღალატობა.** ნორვეგიის მელითონეთა გაფიცვა ჩაიშალა პროფკავშირების უცხოელი ბელადების მოღალატეობის გამო.

● **„ახალი" მთავრობა.** ჩინეთში შესდგა „ახალი" ბურჟუაზიული მთავრობა.

● **პოლონეთი ლიტვის წინააღმდეგ.** ლიტვის პრემიერმა სეიმს განუცხადა, რომ პოლონეთი ცდილობს დაიპყროს ლიტვა და ახლანდელი დემოკრატიული პოლონეთისა და ლიტვას შორის არის საომარი მდგომარეობის გაგრძელება.

● **ბანკი მონღოლეთში.** მონღოლეთში გაიხსნა სავაჭრო სამრეწველო ბანკი.

● **უცხოელ ბელადებს არ ენდობიან.** ლივერპულში უცხოელი ბელადების შეუკითხავად გაიფიცა 3000 მუშა.

● **მუშები გაიფიცნენ.** ვარშავაში საფეიქრო წარმოებათა მუშებმა, რომლებიც უკმაყოფილო არიან შრომის ხელფასის განუწყვეტელი შემცირებით, სცემეს მწარმოებლებს. ქარხნები დახურეს. მრავალი მუშა დააპატიმრეს.

● **ამერიკის საქონლის ბოიკოტი.** უკმაყოფილება ამერიკის წინააღმდეგ იაპონიაში იზრდება. იაპონიაში აპირებენ ბოიკოტის გამოცხადებას ამერიკის საქონლისათვის.

● **განმანადგურებელი სხივები.** გამომგონებელ მატიუსის განმანადგურებელი ელექტრო სხივებით სარგებლობის უფლება შეიძინა ინგლისმა.

● **ამერიკის „განიარაღება".** ამერიკის პალატამ დაამტკიცა კანონპროექტი სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად 111 მილიონი დოლარის გადადების შესახებ.

● **მოსულის კონფერენცია.** მოსულის კონფერენციის მუშაობა ჯერ არ განახლებულა. ოსმალეთში უკმაყოფილო არიან ინგლისის შეურიგებელი პოზიციით.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

უფასო მგზავრობა სტუდენტებს

მოსკოვი 2 ივნისი საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატს უფლება 1 ივლისამდე უფასოდ გადაიყვანოს სასწავლებლებიდან დათხოვნილი სტუდენტები.

პენსია ამხ. ნოგინის ოჯახს

მოსკოვი. 2 ივნისი. რევოლუციის წინაშე ამხ. ნოგინის განსაკუთრებული დამსახურების გამო, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაუნიშნა მის ქვრივს და მცირეწლოვან ბავშვებს პენსია პასუხისმგებელ მუშაკთა ტარიფის უმაღლესი ერთნახევარი განაკვეთის რაოდენობით.

ხელოსანი მუშების მადლობა.

მოსკოვი. 2 ივნისი. შუია-ივანოვოს მუშები დეპეშით მადლობას უძღვნიან მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის რუსეთის განყოფილებას მათთვის გაწეულ დახმარებისათვის.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

შავი ჭირი

ბაქო. 3 ივნისი. აზერბეიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაჩნდა შავი ჭირი მსხვილფეხა საქონელს შორის.

მუშათა ბინები.

ბაქო. 3 ივნისი მუშათა ბინების მოწყობა გაძლიერებული ტემპით სწარმოებს. ახლო მომავალში დამთავრდება 600 ბინის აგება, დაიწყო 650 ახალი ბინის აშენება.

მანუფაქტურა.

ბაქო. 2 ივნისი. შინა-ვაჭრობის კომისარიატის თათბირმა კოოპერაციის და სახელმწიფო დაწესებულებების მონაწილეობით დადებითად გადასწყვიტა მანუფაქტურის კოოპერაციისათვის გადაცემის საკითხი.

პარტიული „ცხოვრება"

რუსეთის კომპარტიის ახალმა ცეკამ მუშაობა დაიწყო

მოსკოვი. 3 ივნისი. შესდგა ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პოლიტბიუროში არჩეული არიან: ამხ. ბუხარინი, ზინოვიევი, კამენევი, რიკოვი, სტალინი, ტომსკი და ტროცკი; კანდიდატებათ—ამხ. მოლოტოვი, კალინინი, რუძუტაკი, ძერჟინსკი, სოკოლნიკოვი, ფრუნზე; საორგანიზაციო ბიუროში—ამხ. ანდრეევი, ბუბნოვი, ვოროშილოვი, დოგადოვი, სტალინი; კანდიდატებათ — ძერჟინსკი, ტომსკი, ფრუნზე, ჩაპლინ, ანტიპოვი და ლეპსე.

სამდივნოში არჩეული არიან: ამხ. სტალინი, მოლოტოვი, ანდრეევი, კაგანოვიჩი და ზელინსკი. გენერალური მდივანი—სტალინი.

„პრავდის"-ს რედაქტორათ დამტკიცებულია ამხ. ბუხარინი.

რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმის დადგენილება

მოსკოვი. 3 ივნისი. რ. კ. პ. ახალი ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა: შესდგეს პლენუმის სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს სოფლად მუშაობის ისეთი საკითხების მოწესრიგებას, როგორიც არის: მიწათმოწყობა, სასოფლო-სამეურნეო კრედიტი, კოოპერატიული მეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სხვა.

საორგანიზაციო ბიუროს დაევალა გამოჰყოს კომისია პარტიაში ახლად მიღებულ წევრებს შორის პოლიტიკური მუშაობისათვის და მიიღოს მთელი რიგი ღონისძიებები მუშა და გლეხ ქალებს შორის მუშაობის გასაძლიერებლად.

პოლიტბიუროს დაევალა შეადგინოს შრომის ხელფასის საკითხის განმხილველი კომისიის შემადგენლობა და არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა მოისმინოს მისი მოხსენება ამ საკითხზე. პლენუმმა დაადგინა: პოლიტბიუროსთან არსებული კომისია ლიტერატურის მოწყობილობის შესახებ ჩაითვალოს პლენუმის კომისიად. პოლიტბიუროს დაევალა ამ კომისიის გაფართოების საკითხის განხილვა.

ხაშურის რკინის გზის დაცვის კომუჯრედში

16 მაისს შესდგა სადგურ ხაშურის რკ. გზ. დაცვის კომუჯრედის კრება. კრებას დაესწრო 25 წევრი და 8 კანდიდატი.

განსარჩევი იყო საკითხები: 1) წითელი არმიის მნიშვნელობა, 2) კოოპერატივის წევრობის შესახებ, 3) ზედმეტი საათების შესახებ.

1). წითელ არმიის მნიშვნელობაზე და 1902 წ. დაბადებულების ჯარში გაწვევის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. პაქაშვილი რის შემდეგაც იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა ამხ. გ. პაქაშვილისა წითელი არმიის მნიშვნელობის შესახებ კრება იღებს მას ცნობათ და სახელმძღვანელოთ. მივიღებთ ყოველ ზომებს და შეუწყობთ ხელს მობილიზაციის ჩატარებას 2). კოოპერატივის და მის წევრობის შესახებ კრებამ დაადგინა იქნეს სავალდებულოთ ყველა წევრებისათვის კოოპერატივში ჩაწერა, 3). სადგურ ხაშურის რკ. გზ. მე-2 რაზმის მცველების ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ძ. დარჩია, ცოცხალი მსჯელობის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა: ვინაიდან წარსული თვეების ზედმეტი საათების მუშაობის გამორკვევა შეუძლებელი დარჩა, ამისათვის ვცნეთ მაინც დაკმაყოფილებული ისინი, რომლებსაც არ ესარგებლიათ დასვენებით, ამისათვის ვთხოვოთ 1 რაიონის ხელმძღვანელს, იქნას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რათა ვიქნეთ დაკმაყოფილებული.

მუშკორი შ. ბლუაშვილი.

ფოთის პარტკომის მუშაობის ანგარიშიდან

სააგიტაციო სეზონისათვის ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა შემდეგი კამპანიები: 1) 9 იანვარი, 2) წითელი არმიის 6 წლის თავი, 3) საქართველოს გასაბჭოების დღე, 4) კომინტერნის ხუთი წლის თავი, 5) ქალთა საერთაშორისო დღე, 6) ოქტომბრის რევოლუციის 7 წლის თავი, 7) კარლ მარქსის სიკვდილის დღე, 8) პარიზის კომუნის დღე, 9) ახალი წევრების მიღება პარტიაში, 10) პარტიული ჯგუფის კონფერენცია, 11) პროფკავშირების კონფერენცია, 12) პარტიული კონფერენცია, 13) ფინანსური რეფორმა, 14) კოოპერაცია („მაკრატლის" პრობლემა). 15) ლენინის დაბადების დღე, 16) გაზეთ „კომუნისტი"-ს გავრცელება პარტამხანაგებ შორის, 17) წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები, 18) ნაციონალური საკითხი ამიერკ. 19) პირველი და მეორე მაისი (ბავშვთა დღესასწაული) 20) ახალგაზრდა კომკავშირის „დღეობა" და 21) „პროლეტარული ნათლობა".

ჩამოთვლილ კამპანიებს შორის უმთავრესი ყურადღება ექცეოდა: წერა კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებს, სოფლებზე შეფობის მიღებას, კოოპერაციის მნიშვნელობას სოფლად და ქალაქად და ფულის რეფორმას.

ქობულეთი. გავხსენით ლენინის სახელობის მუშათა კლუბი, რომელიც საუცხოოდ არის მორთული თავის კინო ეკრანით და სცენით. ყველა რაიონებში არსებობს წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები. აგრეთვე ჩვენ მივაპყარით დაგვეხმარებინა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ქალთა თავშესაფარი. ამ საქმეში დიდი სამსახური გაგვიწია ადგილობრივმა აღმასკომმა.

პოლიტიკური წრეები. პარტიული ამხანაგების პოლიტიკურად მომზადების საქმე წარსულ ხანებში არ იყო სასურველ ნიადაგზე დაყენებული. ამას წინათ ჩატარებულმა პოლიტგამოცდამ ეს აშკარათ დაამტკიცა. ფოთის ორგანიზაციაში, სადაც წევრამდე ირიცხება, პოლიტიკურად „საშუალოთ" მომზადებული მხოლოდ 2 პროც. აღმოჩნდა,—საშუალოზე უმაღლესი კი 1/4 პროც. ელემენტარულ პოლიტიკური მომზადების სფეროში.

მარქსისტულ მომზადებაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება, ამ მიზეზით ჩვენი ორგანიზაცია ძლიერ ჩამორჩენილი გახლდათ, რათა რაც შეიძლება დაჩქარებით მოგვეხდინა პოლიტგანათლების მოწყობა, ჩვენ შევადგინეთ ზომები მივიღეთ, ამ ჟამად ფოთის ორგანიზაციაში 13 პოლიტიკური წრეები არსებობს.

მარქსისტული წრე: პირველ ხანებში მარქსისტულ წრეებში მეცადინეობის სურვილი ყველას გააჩნდა (თუმცა მონაწილეობაში არც თუ ისე მომზადებული ამხანაგები იყვნენ) მაგრამ სურვილი ერთია და ცხოვრებაში მისი პრაქტიკულად გატარება კი—მეორე. მართალია, ამ წრეების დაარსება ჩვენ მტკიცე წარმოდგენით შევძელით. მეცადინეობა კარგი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ განვლო რამოდენიმე ხანმა და ის დაიშალა. დღეს ეს წრე არ არსებობს და მომავალშიაც არ არის იმის იმედი, რომ ის კვლავ დაარსდება—თუ ცენტრიდან არ მოგვეშველებიან სათანადო მომზადებულ ძალას.

წ. კ. უცოდინართა ლიკვიდაცია. კამპანია ამ დარგში დაწყებული წესით ჩატარდა და დღეს პარტიულ ამხანაგებ შორის წ. კ. უცოდინარობა თითქმის მოსპობილია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალ წევრებს. რაც შეეხება უპარტიო მასას და მუშებ შორის წერა-კითხვის გავრცელებას, აქაც ჩვენს მუშაობას ერთნაირი გაქანება ეტყობა. ასე, მაგალითად, დღეს ყველა უბნებში და საწარმოო დარგებში არსებობს სალიკვიდაციო სკოლები, სადაც მეცადინეობა სასურველად მიმდინარეობს. ჩვენ მივიღეთ ზომები სალიკვიდაციო სკოლებში მეტი უცოდინართა ჩასაბმელად. ამ ჟამად არსებობენ შემდეგი სკოლები: სამი წერა-კითხვის უცოდინართა, ერთი საბავშვო — მაჩვენებელი სკოლა (მცირე მცოდნეთა და სრულიად უცოდინართა) და ერთი მაღალი ტიპის ორ ჯგუფიანი სკოლა.

შალვა ჯ.

თბილისის საბჭოს პლენუმი

ორშაბათს 2 ივნისს სახალხო სახლში შესდგა თბილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმი დღის წესრიგში დასმული იყო: 1) შინავაჭრობის მოწესრიგების საკითხი თბილისში და მის მაზრაში, 2) სექციების მუშაობის შესახებ და 3) მიმდინარე საკითხები.

შინა ვაჭრობის მოწესრიგება თბილისში და მის მაზრაში (მომხსენებელი ამხ. ა. რუხაძე)

მომხსენებელი ეხება რა ფულის რეფორმით გამოწვეულ ცვლილებებს ბაზარზე, აღნიშნავს, თუ რა ზომების მიღება დასჭირდა ქალაქის აღმასკომს, რომ ხელი შეეწყო ბაზრის მდგომარეობის მოწესრიგებისათვის და ფულის რეფორმის წარმატებით ჩატარებისათვის. 15 აპრილიდანვე მოეწყო კომისიები, რომლებსაც დაევალათ თვალყური ედევნებინათ ბაზრისათვის და სისრულეში გაეტარებინათ ის ინსტრუქციები, რომლებიც შინავაჭრობის კომისიისაგან იყო გამომუშავებული. ფასების რეგლამენტაცია და წმინდა ადმინისტრატიული ხასიათის ზომები, რასაკვირველია, არ კმაროდა ამისათვის, რომ საქონელი გაიაფებულიყო მთავარი საშუალება საქონლის გასაიაფებლად იყო სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი რესურსები, რომელთა ბაზარზე გამოტანით შესაძლებელი გახდა მტკიცე ფასების დაწესება პირველ მოთხოვნილების საგნებზე (პურზე, შაქარზე, მარილზე, მანუფაქტურაზე) ზემო ჩამოთვლილ საგნების გაიაფებამ გამოიწვია სხვა საგნების გაიაფებაც როგორც მაგალითად რძისეულის, ბოსტნეულის, სასოფლო პროდუქტების და სხვის. ძნელი შეიქნა პირველ ხანებში ბრძოლა ხორცის სპეკულიანტებთან იმის გამო რომ არც ქალაქს, არც სახელმწიფო ორგანიზაციებს საშუალება არ ჰქონდათ საკუთარი ხორცი მიეწოდებინათ მომხმარებლისათვის. მიუხედავად ამისა მაინც შესაძლებელი გახდა კერძო მოვაჭრეებთან მოლაპარაკების საშუალებით ხორცზე დაკლებული ფასების დაწესება. ამ ჟამად სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი ცდილობენ მოაწყონ ხორცით ვაჭრობა, რომელშიაც ქალაქის აღმასკომი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

თუ თვალს გადავავლებთ ამ თვენახევარში (ფულის რეფორმის პირველი დღიდან) მომხდარ ცვლილებებს ბაზარზე, სტატისტიკური საწყობით შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება 10 პროცენტით გაიაფდა, შედარებით რეფორმის წინა თვეებთან.

ქალაქთან შედარებით, სპეკულიაციასთან ბრძოლის საქმე უფრო გართულებულია სოფლად. თუმც ფულის რეფორმის შემდეგ სოფლადაც შემჩნეულია ფასების ოდნავ დაწევა, მაგრამ საქონლის უმეტესობა სოფლისათვის სიძვირის გამო მაინც მიუწვდომელია. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ კოოპერატივები სოფლად ჯერ კიდევ სუსტად არიან და ბაზარი კვლავ კერძო მოვაჭრეთა ხელშია.

შემდეგ მომხსენებელი არკვევს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს ქალაქის აღმასკომის მიერ ცხოვრების საშუალებათა შემდეგი გაიაფებისათვის, როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

ეს მოხსენება განხილულ იქნა ქართულად. მოხსენების შემდეგ მომხსენებელს მისცეს შეკითხვები 33 რომელთაც დაკავშირებულ საკითხებზე. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს კომისიების მუშაობას და ავალებს აღმასკომს კვლავ იმავე ენერგიით განაგრძოს ბრძოლა ბაზრის მოსაწესრიგებლად და ცხოვრების გასაიაფებლად. დროის სივიწროვის გამო დანარჩენი საკითხების განხილვა შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

ეკონომიური ცხოვრება

მოსკოვის კურსის ტაბულა.

(4 ივნისი)

ჩერვონეცი—126 მილიარდი მან.

ჩერვონეცით

ბრიტ. სტერლინგი. ფუნტი 8 მ. 86 კ.

„ ჩეკები — 7 მ. 80 კ.

დოლარი ფულ. - 1 მან. 94 კაპ.

„ ჩეკები — 1 მ. 78 კ.

ამხ. ქალ. ლირა — 1 მ.

იტალ. ლირა 100 ცალი 8 მან.

ფრანკი ფრან. 100 ცალი 9 მ. 50 კ.

ოქროს მანეთი 12.500 მილიონი.

ლენინგრადის ფასები.

(4 ივნისი)

პური 6 კაპ., თეთრი ფქვილი 9 კ. ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინადი—33 კ., შაქ. ფხვნილი—25 ნახ. კ., მაკარონი—14 კ., ვერმიშელი—18 კ., ბრინჯი ალე.—10 კ., „ოჯახი" 15 კ., საპონი „ტომილდო"—22 კ.

თბილისის ბაზრის ფასები.

(4 ივნისი)

პური 1 ხარ.—7 კ., პური 2 ხარ. 5 კ., თეთრი ფქვილი—10 კაპ, ძროხის ხორცი—30 კაპ., შაქარი რაფინადი—34 კაპ. შაქარი ფხვნილი—27 კ. ბრინჯი 10—15 კაპ, მაკარონი—18—20 კაპ.

ბირჟის მიწოდება

„ნოვტრესტორგ"-ის პროდუქცია (ასანთი, ქაღალდი, კარტონი, ტომრები, ფურცლი და სხვ), სანთავებელი, „ქიმუგოლ"-ის პროდუქცია, „ცარმეტორგ"-ის პროდუქცია, „ხლებოპროდუქტ"-ის ფქვილი, სახ. მეურნე საბჭოს საპნის და სამედიცინო ტრესტის პროდუქცია (საპონი, „პიტკუს" და ლომლების ნართები, ოლიფას ზეთი და სხვ.) შაბიამანი, „კრასიტორგ"-ის პროდუქცია (ცემენტი, და ეტერნიტი). (და სხვა) სასოფლო მანქანები, საპონი, საშენებელი დურსმნები, „ურალტოპლის" პროდუქცია, საპონი როსტოვის და კრასნოდარის ანტრაციტი, ძეგვის კირი (კილოგრამებით).

ბირჟის მოთხოვნილება

პორტლანდის ცემენტი, მზესუმზირის ზეთი, თევზი—„ვობლა", ასანთი რუს, ხელთათმანების თხილი, ჯავარი, (ნედლი) ნარშა და მიტკალი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, რუს. მანუფაქტურა, ქვამარილი ნახიჩევანის, საპონი როსტოვის და კრასნოდარის ცანკა.

ბირჟის გარიგებანი

მარილი „ბელიკუშის" 1 ხარ.—25 კ. ფ. ფრანკო სადგური საბუნი.

ელექტროდ-ნ-სპილენძი. 16 მ. ფუთი ფრანკო გამყიდველის საწყობი.

სპილენძის მავთული—89 მ. და 37 მან. ფუთი, და ტყავის სამანქანო ღვედი—10 მან არშინი, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

მ.-ვოლი „მარტენის" 3—60 კ., ფუთი ფრ. გამყიდველის საწყობი.

მარილის კოშკი—2 60 კაპ. ფუთი, ფრანკო სიდ. ვაგონი.

მალები (ჩანვი)—1 მ. 41 კაპ. 2 მ 15 კ და 3—95 კ ფუთი, ფრანკო-გამყიდვ. საწყობი.

შაქარი ფხვნილი რუს —10 მ. 27 მ კ. ფ., ფრანკო „სახარეტრესტის" საწყობი.

შაქარი ფხვნილი რუს.—10 მ, 20 კაპ და რაფინ.—12—20 კ. ფუთი, ფრანკო ლენინაკანი, „სახარეტრესტ"-ის საწყობი.

პურის ფქვილი 2 ხარ. „წითელი" 2 მ. 85 კ. და 1 ხარ. „წითელი"—2—75 კ ფუთი, ფრანკო სადგური თბილისი.

თეთრი ქვინთ ლიტერმეტრის. 1 მ. 90 კ. ვედრო, ფრანკო სადგური სანდარი—ვაგონი.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

1—31 მაისამდე ბირჟის გარეშე დარეგისტრირდა 442 გარიგება, სულ 1 588 313 მან თანხისა.

საქონლის ბაზრის მდგომარეობა.

საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება უცვლელია

თამბაქოს ფაბრიკების და ლიმონათის ქარხნების გამოკვლევა.

მიმდინარე თვის განმავლობაში არაპირდაპირი გადასახადების განყოფილების რევიზორის და ინსტრუქტორების მიერ გამოკვლეულია 4 თამბაქოს ფაბრიკა, მათ შორის 3 კერძო და ერთი თამბაქოს ტრესტისა და აგრეთვე 3—კვასის, ლიმონათის და სხვ წყლების ქარხანა.

სახალხო სამეურნეო ბაჟის ხიდი.

ამ სფეროში ა. კ. ფინ. სახკომის მუშაობა მიმდინარეობს სასწრაფო წესით.

სასოფლო სამეურნეო გადასახადის კამპანიის გატარების ხელმძღვანელობისათვის ა. კ. სახ. კომისართა საბჭოსთან დაარსებულია ცენტრალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ა. კ. ფინანსთა კომისარიატიდან—ამხ დობრიხოტოვი, დენისოვი და პეტროვი, ა.-კ. სტატისტიკური გამგეობიდან—გრიგორიანი და გასპარიანი, საქართვ. მიწათმოქმედების კომისარიატიდან—ამხ ჩაჩხიანი და თამამშევი, აზერბეიჯ. მიწათმოქმ. კომისარიატიდან—ამხ მიდაეროვი (სომხეთის წარმომადგენელი ჯერ დანიშნული არ არის)

აღნიშნული კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

პროფკავშირებში

ქიმიკოსთა კავშირში

ქიმიკოსთა კავშირის ურთიერთი დამხმარე კასა.

ქიმიკოსთა კავშირის ურთიერთ დამხმარე კასა აერთიანებს კავშირის 535 წევრს. გასულ თვეებთან შედარებით წევრთა რიცხვი თანდათან იზრდება. მაგ. იანვარში ითვლებოდა 469 წევრი, ხოლო აპრილში 536.

იანვრის, თებერვლის და მარტის განმავლობაში დამხმარე კასას მიეცა 100 სესხი და 16 დახმარება

1 იანვრისათვის კასას ჰქონდა 682 მანეთი და 71 კაპიკი, ხოლო პირველი აპრილისათვის 483 მან. 19 კაპიკი, მაშასადამე კასის განაწილებაზე სესხად დარიგებულია 717 მან. 83 კაპ.

კასის მონაწილეთა საქალაქო კონფერენციამ ურთიერთ დამხმარე კასის ბიუროს მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო.

ბიუროს მიეცა წინადადება გააკეთოს თავისი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება კავშირის საწარმოო დაწესებულებებში.

ვინაიდან სესხი დიდხანს გადაუხდელი რჩება, კონფერენციამ საჭიროდ დაინახა დაავალდებულოს ყველა მონაწილე სესხის თავის დროზე გადახდისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფერენციამ გადასწყვიტა კასამ სესხი დაარიგოს საქარხნო კომიტეტების საშუალებით

ამავე კონფერენციაზე წამოიჭრა საკითხი ურთიერთ დამხმარე კასისათვის სპეციალური სარევიზიო კომისიის გამოყოფის შესახებ. კამათში მონაწილე ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ სპეციალური კომისიის შექმნა გამოიწვევს კასის მუშაობის საერთო საკავშირო მუშაობისაგან ჩამოშორებას.

კონფერენციამ იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს კასის მუშაობის საკავშირო მუშაობიდან ჩამოშორება და აგრეთვე მიიღო რა მხედველობაში, რომ კასის და კავშირის წევრთა შემადგენლობა ერთი და იგივეა, მიზანშეუწონლად სცნო სპეციალური სარევიზიო კომისიის შექმნა. კასის რევიზიას გაუკეთებს კავშირის ცენტ. გამგეობის სარევიზიო კომისია.

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირში

ცენტ. გამგეობის მუშაობა

მორიგმა საქალაქო კონფერენციამ მოისმინა კავშირის ცენტ. გამგეობის მუშაობა მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში.

საორგანიზაციო დარგში. ცენტ. გამგეობამ ჩაატარა კამპანია ადგილკომების ასარჩევად. არჩევნების წინ ცენ გამგეობამ სპეციალური კომისიის საშუალებით გადაამოწმა სხვა და სხვა წარმოებათა ადგილკომების მოქმედება სპეციალურ კომისიის შექმნის მიზანი იყო პროფკავშირის ქვედა უჯრედების მუშაკთა კავშირის აქტიურ მუშაობაში ჩაბმა და მათთვის ცალკე ადგილკომების მოქმედების და საკავშირო მასშტაბით პრაქტიკული გაცნობა. ამჟამად კომისიის შემადგენლობაში მოყვანილ სხვა და სხვა ადგილკომების წევრები. მიზანი სრულიად მიღწეულ იქნა და არჩევნების შემდეგ მუშაობაც საგრძნობლად გაცხოველდა.

ცენტ გამგეობამ მოაგვარა აგრეთვე საქალაქო კონფერენციების რეგულიარულად მოწვევა.

ახალგაზრდებს შორის მუშაობაც ნორმალურ კალაპოტში სდგას. გამგეობაში მუშაობს ახ. კომ. კავშირიდან სპეციალურად მოწვეული მუშაკი.

დაწყებულია აგრეთვე მედლერთა კავშირში მისაწერა.

კონფერენციამ ცენტ. გამგეობის მუშაობა საორგანიზაციო დარგში დამაკმაყოფილებლად აღიარა.

სატარიფო-ეკონომიურ დარგში.

ცენტ. გამგეობა ერთი მხრივ სცდილობდა აემაღლებინა მუშათა ხელფასი და მეორე მხრივ ფულის რეფორმის ხელი შეეწყო კომუნალური მეურნეობის წარმატებისათვის.

ამ საანგარიშო პერიოდში ხელფასი დაიდო ახალი კოლექტ. ხელშეკრულებანი. დაწესებულ იქნა სპეციალისტების მაგარი განაკვეთები, რომლის გამომუშავების დროს მხედველობაში იყო მიღებული მეურნეობის მატერიალური სიდუხჭირე.

კონფერენციამ მოიწონა ცენტ. გამგეობის მუშაობა სატარიფო-ეკონომიურ სფეროში.

საბჭოთა კავშირის ქიმიური თავდაცვა

რუსეთის კომპარტიის ცეკას ყველა საოლქო-ბიუროს, ნაციონალურ კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, ოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს

ჯერ კიდევ მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, განსაკუთრებით მის ბოლო ხანებში, ფართო ხასიათი მიიღო ბრძოლის ქიმიური საშუალებების და კერძოთ მომწამლავი გაზების გამოყენებამ. მომავალ ომში მათი როლი უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი გახდება. უეჭველია, რომ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი ბურჟუაზიული სახელმწიფოები ომის წარმოშობის შემთხვევაში, რომლისთვისაც ისინი მუდამ ემზადებიან, არ დაერიდებიან ქიმიური ბრძოლის საშინელ და განმანადგურებელ იარაღების გამოყენებას მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში ჩვენი ქვეყნის ქიმიური თავდაცვის მოწყობა არის პირველხარისხოვანი საქმე. მაგრამ იმისათვის, რომ ის დაყენებულ იქნეს სათანადო სიმაღლეზე, საჭიროა ჩვენი ქიმიური მრეწველობის გაწვრთნება, რასაც ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებმა.

იმ მიზნით, რომ ჩაბმულ იქნენ მშრომელი მოსახლეობის ფართო წრეები ქიმიური მრეწველობის და ქვეყნის ქიმიური თავდაცვის განვითარების საქმეში, რომ მაქსიმალურად იქნენ გამოყენებული და გაერთიანებული ამ საქმისათვის გამოსადეგი საშუალებები და ძალები, მთელი რიგ პროფესიონალური, სამეცნიერო და სამხედრო ორგანიზაციების ინიციატივით ეწყობა ქიმიური თავდაცვის და ქიმიური მრეწველობის მეგობართა საზოგადოება („დობროხიმი"), არსებულ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების მსგავსად.

თავის თავად ცხადია, რომ ქიმიური თავდაცვის და ქიმიური მრეწველობის მეგობართა საზოგადოება მარტო თავის ძალებით ვერ მიაღწევს სასწრაფო წარმატებებს, ერთის მხრივ მძიმე მდგომარეობის ქვეყანაში ქიმიური ცოდნის ამაღლებაში, მეორე მხრივ ქიმიური მრეწველობის განვითარებაში, როგორც ერთის, ისე მეორე ამოცანის გადაწყვეტისათვის არ კმარა რაიმე ერთბაშად ღონისძიება, არამედ ხანგრძლივი სისტემატიური, აღმზრდელობითი სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობა.

ამ პერსპექტივასთან ერთად საჭიროა სისტემატიური შეურყეველი ორგანიზაციების მიდგომა, ქიმიური თავდაცვისა და ქიმიური მრეწველობის მეგობართა საზოგადოების

ცეკა წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ამ საზოგადოების სათანადო განვითარებას, წყობის ადგილობრივ გამოქვეყნებას წესდების და ინსტრუქციების ძალებზე, ჩააბან მათ მუშაობაში წითელი არმიის პოლიტორგანები, პროფესიონალური, საბჭოთა, სამეცნიერო ორგანიზაციები, ახალგაზრდობის კომკავშირი, განავითარონ ფართო აგიტაცია, როგორც ზეპირ, ისე ბეჭდვითი, განუმარტონ მთელი მოსახლეობის მასებს ამ საქმის მნიშვნელობა, რომელიც უმზადებს ქიმიურ საშუალებების მოყენება ჩვენი მტრების მიერ მომავალ ომში და გააცნონ მათ ცნებები, რომლებიც დაიცავს მრავალ რესპუბლიკას და თავის მშრომელის წინაშე.

რ. კ. პარტიის (ბ) ცეკას მდივანი ა. ანდრეევი

სრულიად საქართველოს ექიმთა მეორე ყრილობა

ამ დღეებში დაიხურა სრულიად საქართველოს ექიმთა მეორე სამეცნიერო ყრილობა.

დღის წესრიგში დასმულ კითხვებში ყველაზე მეტი ყურადღება მიიპყრო ორმა: მალარია და ტუბერკულოზის (ჭლექის) შესახებ.

მალარია და ტუბერკულოზი ყველაზე უფრო დიდი მტერია ქვეყნის მოსახლეობისა, მათ შორის მალარია განსაკუთრებით მძვინვარებს საქართველოში. კონგრესის მუშაობიდან გამოირკვა, რომ ჩვენი მშრომელი ხალხი არაჩვეულებრივ ხარკს უხდის ყოველწლიურად ამ საშინელ სენს. მაგალითად მალარიამ კახეთში, ალაზნის გაღმა, სრულებით გაანადგურა მთელი სოფლები, სამეგრელოში მცხოვრებლები ასობით და ათასობით მაჯ ვარ ლოგინს და დაჰკარგა შრომის უნარი; სიკვდილიანობის პროცენტი ზოგიერთ ადგილებში პირდაპირ დამაფიქრებელია. ასევე ითქმის აფხაზეთზედაც. აღნიშნული ადგილები წარმოადგენენ უმთავრეს ბუდეს მალარიისას, მაგრამ საქართველოს სხვა ადგილებშიც საკმაოდ გავრცელებულია ეს სენი.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, ჰიგიენური სანიტარული პირობების და აგრეთვე ცხოვრების გაუმჯობესება, მასთან ქინაქინის მიწოდება.

სამწუხაროთ დღემდის ყველას ნათლად არ აქვს გათვალისწინებული, თუ რა გვარ საშიშროებას წარმოადგენს ადამიანის ორგანიზმისთვის მალარია, ის უნადგურებს ნივთიერ სიმტკიცეს და მთელ ორგანიზმს აყენებს გადაგვარების გზაზე.

ტუბერკულოზის შესახებაც მნიშვნელოვანი საკითხები იყო წამოყენებული და დადგენილი კონგრესის მიერ ტუბერკულოზით ავადობა ხდება სამ მეოთხედ თხუთმეტ ბავშვების ასაკში. კონგრესმა საჭიროდ სცნო შესაფერისი ნაწილები ბავშვების სანატორიუმის მოწყობისათვის.

კონგრესის ყურადღება მიიპყრო აგრეთვე მოხსენებამ ანკილოსტომოზის შესახებ. როგორც მოხსენებიდან და დისკუსიიდან გამოირკვა, ამ ავადმყოფობას ჩვენში ადგილი ჰქონია. (ჯერ ჯერობით დაკვირვებაა ნაწარმოები მაღაროების მცხოვრებთა შორის.)

კონგრესმა საჭიროდ სცნო ხაზი გაესვა ანკილოსტომოზის მხრივ საქართველოს სხვა ადგილებისაც, განსაკუთრებით მაღაროები.

მომავალი კონგრესი დანიშნულია გაზაფხულისათვის, მისის პირველ ხანებში, ქალ. თელავში, სადაც იქნება დასმული კლინიკური და ზოგად-ტერაპიული ხასიათის წერილები ლექციური შესრულებით მეცნიერ საორგანიზაციო კომიტეტი

დასასვენებელი სახლები

(ამხ. ულბაძიანის მოხსენება)

საქარ. პროფ. საბჭო დაწესებულ ორგანიზაციებთან ერთად სცდილობდა მიმდინარე სეზონისათვის გაეფართოვებინა დასასვენებელი სახლების ქსელი და რამდენადაც საბჭოს ქონებრივი მდგომარეობა საშუალებას იძლეოდა, მიზანი რამოდენიმედ მიღწეულ იქნა.

რა გაკეთდა

წყნეთში დასასვენებელ სახლების რაოდენობა გასულ წლიდან შედარებით გადიდებული იქნა. გარდა ამისა იქვე აშენებულია ახალი შენობა —სამზარეულო, მოწყობილია სასადილო, ხოლო ბინები იმდენად გაფართოებულია, რომ იქ მოყვანილი მუშები დაკმაყოფილებულნი არიან მარტო მესერით, არამედ წლევანდელ და მომავალ დასასვენებელ სახლების მოთხოვნილებებს. მოწყობილ იქნა აგრეთვე ორკესტრი. რაც საშუალებას იძლევა მოსვენებულ კანონის მიყვანილობის გასასუფთავებლად დარგულ იქნა მრავალი წიწვოვანი ხე და საერთოდ დასასვენ სახლების პარკის მდგომარეობა მოწესრიგდა პროფ ს. ქართველის დარიგებით და ხელმძღვანელობით. საფუძველი ჩაეყარა აგრეთვე მეფუტკრეობას, რომლისაც ხელმძღვანელობს ცნობილი მეფუტკრე აპ. წულაძე.

საწოლთა რაოდენობა.

საქარ. ყველა დასასვენებელ სახლებში (წყნეთში, წაღვერში, ბორჯომში, სურამში, ხ. წყაროში) საწოლთა რაოდენობა 455 აღწევს, რაც საშუალებას იძლევა მთელი სეზონის განმავლობაში დასასვენებლად გაგზავნილ იქნეს 5000 მუშა მოსამსახურე.

დასვენების ვადა.

პროფსაბჭომ დაადგინა დასვენების ვადად წინანდებურად ორი კვირა დააწესოს. ეს ვადა შეიძლება გაგრძელებულ იქნეს მხოლოდ დასასვენებელ სახლების ექიმთა დასტურით.

ვინ გაიგზავნება დასასვენებელ სახლებში?

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დასასვენებელ სახლებში პირველ რიგში უნდა გაიგზავნონ პროფკავშირთა იმ წევრებმა, რომლებიც მუშაობით მოქანცულნი არიან და არ არიან გადამდებელი ან სხვა სნეულებით ავადნი; მაშასადამე პირობების სპეციალურ მოვლას ექიმობას და ჯერ კიდევ არ დასასვენებელ სახლში.

იმ მუშა მოსამსახურეებმა, გასულ წელს დაისვენეს სახლებში, წლეულს თავისი რიგი უნდა დაუთმონ მათ, ვინც სრულიად არ

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით კავშირებს შორის ადგილების განაწილების დროს ყურადღება იქნა მიღებული შემდეგი პირობები: რამდენად მძიმე და ძნელია შრომის პირობები და წარმოების ხასიათი, უფრო მეტი ადგილი დაეთმო იმ კავშირს.

სამი მეოთხედი და ერთი მეოთხედი.

დასასვენებელ სახლებში ადგილების სამი მეოთხედი (75 პროც.) უნდა მიეცეს ფიზიკური შრომის მუშებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ამა თუ იმ წარმოების დაზგებთან მუშაობაში, ხოლო ერთი მეოთხედი კი იქნება გონებრივი შრომის მუშაკთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენმა საწარმოო კავშირებმა მტკიცეთ, მელითონეებმა უნდა დაუთმონ ფიზ. შრომის მუშებს 75 პროც. და გონებრივ შრომის—25 პროც.

ზემოხსენებული პროცენტის ფარგლების დროს მხედველობაში ცალკე კავშირი ყველა კავშირების მიერ წევრთა საერთო რაოდენობა

ტუბერკულოზ-სანატორიული მუშაობა

დასასვენებელი სახლები, ფიზიკურად გაჯანსაღების მიზნით ისახავს დასასვენებლად ჩაწერილ წევრთა კულტურულ დონის ამაღლებას. ამ მიზნით ფართე კულტგანმანათლებელი მუშაობის ნაწილები

რიგში განყოფილება აწყობს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს იქ, სადაც სრულიად არ არსებობს, და აწვდის ლიტერატურას უკვე გახსნილ ბიბლიოთეკებს. დასასვენებელ სახლებში მთელი სეზონის განმავლობაში დროგამოშვებით წაიკითხება აგრეთვე ლექციები.

ფინანსიური მდგომარეობა

დასასვ. სახლების ფინანს. მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. წრეულს სახელმწიფოს ამ მიზნისთვის თანხა არ გადაუდია და რაც გაიღეს, მხოლოდ პროფკავშირების და დაინტერესებულ ორგანოთა საშუალებით. ჩვენი დამზღვევი ორგანოები იმდენად ღარიბნი, რომ სახელმწიფოს დაუხმარებლად უძლურნი არიან იკისრონ დასახ. სახლების მოვლა-პატრონობა. თუ პროფკავშირები სახელმწიფოსგან დახმარებას ვერ მიიღებს, მიმდინარე სეზონისათვის შემუშავებული გეგმა განუხორციელებელი დარჩება.

სეზონი

უკვე გაიხსნა პირველ ივნისიდან — და გაგრძელდება 1 ოქტომბრამდე ყველა სახლებში მცხეთის გარდა, სადაც სეზონი დამთავრდება 1 ნოემბერს.

წითელ ჯარში

ახალი გაწვევა

საგიტაციო კამპანია ახალწვეულებს შორის

მესამე რაიონში

27 მაისს ახალწვეულთა შორის აგიტ. კამპანიის ჩამტარებელ კომისიის დავალებით ამხ. ურმაკოვმა მესამე რაიონში, ქალაქის სასაკლაოს მუშებში რუსულ ენაზე გააკეთა მოხსენება ახალწვეულთა გაწვევის შესახებ, სადაც შეეხო წითელი არმიის მნიშვნელობას საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე და შეეხო მასთან დაკავშირებულ სხვა კითხვებსაც, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდნენ მუშები და მოუწოდეს ახალგაზრდებს წითელ ყაზარმებისაკენ.

ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში.

ამავე დღეს, ამხ. ნარიმანოვის სახელობის კლუბში, ამავე თემაზე მოხსენება გააკეთა ამხ. თუმანიანმა (სომხურ ენაზე), მოხსენებას დაესწრნენ, უმეტესად, ადგილობრივი უბნის მუშები და ახალგაზრდობა. მათ განაცხადეს, რომ როგორც ერთი კაცი, მზად არიან მხიარულად გასწიონ წითელ ყაზარმებისაკენ და დადგენ საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

ახალწვეულების მიტინგი

30 მაისს, დილის 6 საათზე მრავალმა ახალგაზრდამ მოიყარა თავი მეშვიდე სამილიციო უბანში. გაისმის სიმღერა, სიცილი, ხუმრობა.

დილის 7 საათზე რაიონის მილიციის სამმართველოს ეზოში გაიხსნა მიტინგი.

სიტყვით გამოვიდა ამხანაგი სიხარულიძე, რომელმაც აუხსნა ახალწვეულებს წითელი არმიის მნიშვნელობა, მისი განსხვავება ძველი და ბურჟუაზიული სახელმწიფოების ჯარისგან.

მომხსენებელს ხშირად აწყვეტინებდენ სიტყვას „ვაშასა" და „ურას" ძახილით.

მიტინგი დამთავრდა.

ორასი ახალწვეული ხალისით, სიმღერით გაემართა მიმღებ პუნქტისაკენ, სადაც დახვდათ დიდძალი ახალწვეულები სხვა რაიონებიდან.

აქაც იმართება მიტინგი, ახალწვეულები რევოლუციონურ ფიცს სდებენ, რომ ერთგულად დაიცვენ მშრომელთა სახელმწიფოს.

წითელარმიელი.

საბჭოთა სასამართლოში

ქურდობისა და მექრთამეობისათვის

ამ 2 საქ. ოლქის სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე დ. ნასარიძე, სახალხო მსაჯულნი დ. ნათენაძე და ი. [illegible], პროკურორის თანაშემწე მაისურაძე და მდივანი ჭეჟავაძე,—მოისმინა და განიხილა: 1) ვას. სტეფანიშვილის, 2) არმენაკ პოლოსოვის, 3) რუბენ პოლოსოვის, 4) მირონ მკოფოვის და 5) ვლადიმირ გოგიაშვილის საქმე, რომელნიც ბრალდებულნი იყვნენ ს. ს. კ-ის 15, 16, 110, 117, მუხ. 1 ნაწ., 108 მუხ. 2 ნაწ. და 187 მუხ. 3. „ბ"-ში გათვალისწინებული ბოროტმოქმედებანი: ქურდობა წინასწარ შეთანხმებით, ქრთამის აღება-მიცემა, ბოროტმოქმედების დაფარვა და სხვა.

საქმის შინაარსი ასეთია. 1923 წ. ოქტომბერს მეშუშე ხელოსანს ვ. სტეფანიშვილს გაუგია თავის მეგობრისაგან,—არმენაკ პოლოსოვისაგან, რომ იმ ეზოში, სადაც პოლოსოვი ცხოვრობს [illegible] ქუჩაზე № 35-ში ვინმე შეპელიოვის ბინა კარგა ხანია დაკეტილია და უპატრონოდ დარჩენილი. სტეფანიშვილს უსარგებლია ამ შემთხვევით და ეს ბინა ორჯელ გაუქურდავს—პირველჯერ მარტო და მეორეჯერ კი არმენაკ პოლოსოვის დახმარებით. უკანასკნელ გაქურდვის შემდეგ ნაქურდალით მიმავალი სტეფანიშვილი გაუწვრია იმავე სახლის მეეზოვეს მირონ მკოფოვს. ქრთამის აღება-მიცემის შემდეგ სტეფანიშვილმა განაგრძო გზა, მაგრამ გზაზე დაპატიმრებულ იქნა მილიციონერ ვ. გოგიაშვილის მიერ. ამ დაპატიმრების ერთ-ერთ დამსწრეს განცხადებით, მილიციონერსაც აუღია ქრთამი.

სასამართლოს ძიების შემდეგ მილიციონერი გოგიაშვილი ცნობილი იყო უდანაშაულოდ და განთავისუფლებულ იქნა, ხოლო ბრალდებულ სტეფანიშვილს და არმენაკ პოლოსოვს წინასწარ შეთანხმებით მოხდენილ ქურდობისათვის არსებულ მუხლების ძალით სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ორ-ორი წლით მკაცრი იზოლიაციით გამასწორებელ სახლში; რუბენ პოლოსოვს ბოროტმოქმედების დაფარვისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით, მკაცრი იზოლიაციით გამასწორებელ სახლში. გარდა ამისა იმავე სტეფანიშვილს მეორე ბოროტმოქმედებისათვის, სახელდობრ ქრთამის გადაცემისათვის მიესაჯა კიდევ სამი წელიწადი და ასეთივე სასჯელი,—სამი წელიწადი ქრთამის ამღებს მეეზოვე მირონ მკოფოვს.

დასასრულ სასამართლომ მიიღო მხედველობაში, რომ მეეზოვე მირონ მკოფოვი ღარიბი რუსის ოჯახის შვილი, წვრილი შვილის პატრონი, პოლიტიკურად გაუნათლებელი, ოჯახის ერთად ერთი მარჩენალია და სხვა; რის გამო სასჯელი განესაზღვრა 1 წლით და 6 თვით წინასწარ პატიმრობის ჩათვლით. ასეთივე გარემოებათა გამო სასამართლომ რუბენ პოლოსოვის სასჯელი განესაზღვრა პირობით სასჯელით იმავე ვადით ე. ი. ორი წლით. ვ. ს. სტეფანიშვილის ორმაგი სასჯელი განსაზღვრულ იქნა 3 წლით და სამოქალაქო უფლებების შეზღუდვით 5 წლის ვადით. ბრალდებულთა სიღარიბის გამო სასამართლოს ხარჯები დაეკისრა ხაზინას.

მეცნიერება და ტექნიკა

სადგურები აეროპლანებისათვის ზღვაში.

აეროპლანები უდიდეს მონაწილეობას იღებდენ უკვე 1914 წლის ომში. როგორც ვიცით, მსოფლიო იმპერიალისტური ყაჩაღები კვლავ ემზადებიან ომისათვის. გერმანია დამარცხდა ბრძოლაში მსოფლიო ბატონობისათვის და ახლა დარჩა ოთხი უდიდესი ყაჩაღი, რომელნიც კბილებს ილესავენ ერთმანეთზე და დროის უცდიან, რომ ერთმანეთს ყელი გამოსჭრან. ესენი არიან საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა, იაპონია. დანარჩენი იმპერიალისტები ამ ოთხ მთავარ ქოფაკს ეკედლებიან იმისდა მიხედვით, თუ რომელი მეტ ოქროს აძლევს მათ.

მომავალ ომში, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებენ, აეროპლანები უდიდეს როლს ითამაშებენ. ტყუილად კი არ არის, რომ საფრანგეთმა აეროპლანების რიცხვი 2000-დე აიყვანა. ინგლისის „მუშური" მთავრობა კი, როგორც ეს ეკადრება ინტერნაციონალის ლიდერს, სწრაფ [illegible], ცდილობს არ ჩამორჩეს საფრანგეთს და 7 ახალ სამხედრო საჰაერო რაზმს ამზადებს.



კერძოდ დიდი როლი უნდა ითამაშონ აეროპლანებმა მოწინააღმდეგის საზღვაო ფლოტის დაზვერვაში და მის განადგურების საქმეში. ამისდა მიხედვით სწარმოებს ენერგიული მუშაობა ავიაციის რაც შეიძლება მეტად შესაფერებლად დასახულ სამხედრო ამოცანებთან.

პირველ საკითხს ამ საქმეში წარმოადგენს [illegible] სადგურების მოწყობა ზღვაში, რომ აეროპლანებმა შეძლონ საჭირო სათბობი და ასაფეთქებელი მასალის მარაგის შევსება ბრძოლის დროს.

ჩვენი სურათი წარმოადგენს ერთ ასეთ საზღვაო ავიო-სადგურს.

ეს არის დიდი ამერიკული გემი „ლანგლეი", რომელიც სპეციალურად მოწყობილია აეროპლანებისათვის.

ზევით მოწყობილია სპეციალური მოედანი აეროპლანების დასაშვებად და ასაფრენად. ამ მოედნის ქვეშ მოთავსებულია ანგარები (აეროპლანების სადგომები) 80 აეროპლანისათვის. გვერდზე მოჩანს გემის საკვამლე მილი.

გემზე არის მოთავსებული ასაფეთქებელი და აეროპლანებისათვის საჭირო სათბობი მასალის საწყობები და სახელოსნო.

ერთგორგლიანი ავტომობილი.

ასეთი ავტომობილი გამოიგონა 5 წლის მუშაობის შემდეგ პროფ. კრისტიმ.

ამ ავტომობილს აქვს ერთი გორგალი, რომლის სიმაღლე უდრის 2 საჟენს. გორგალს ღერძზე მიმაგრებულია 250 ცხენის ძალიანი მოტორი. ღერძის ორივე მხარეზე მიმაგრებულია ორი უფრო ნაკლები სიდიდის გორგალი, რომლებსაც ამოძრავებს მოტორი. ამ გორგლების სწრაფი მოძრაობა უზრუნველყოფს ერთგორგლიანი ავტომობილის წონასწორობას მოძრაობის დროს. შოფერი მოთავსებულია საჯდომში, რომელიც ღერძზე არის მიმაგრებული.



ავტომობილი არაჩვეულებრივის სისწრაფით მოძრაობს, მას შეუძლია საათში გაიაროს 400 ვერსამდე, არც ერთ მანქანას, რომელიც დანიშნულია ხმელეთზე და ზღვაში მოძრაობისათვის, არ გაუვლია საათში ასეთი დიდი მანძილი და მხოლოდ ზოგიერთ თანამედროვე აეროპლანებს შეუძლიათ შეეჯიბრონ მას სისწრაფეში.

მოძრაობის დროს, როცა შოფერს სურს მოუხვიოს, ან გვერდი აუაროს რაიმე დაბრკოლებას, ის გაწევს წონასწორობის დამცველ პატარა გორგალს, ავტომობილის წონასწორობა ირღვევა და უხვევს გზას.

ქრონიკა

■ **ამხ. ლენინის სახელობის კოოპერატიული ფონდი.** კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ დაარსებულ ამხ. ლენინის სახელობის კოოპერატიულ ფონდში სრ. რუსეთის კოოპერატიულმა ბანკმა შეიტანა 50,000 მან.

■ **მუშკოოპის პური.** ამ ჟამად თბ. მუშათა მთლიანი კოოპერატივი ყოველ დღე აცხობს 1,500 ფ. პურს, რომლის გასანაწილებლად ქალაქში მოქმედებს 25 განმანაწილებელი პუნქტი.

■ **თბ. მაზრის გლეხკომების ყრილობა.** დღეს 4 მაისს გაიხსნება თბილისის მაზრის გლეხთა კომიტეტების ყრილობა.

■ **გვალვები სიღნაღის მაზრაში.** სიღნაღის მაზრაში ამ ჟამად დიდი გვალვებია.

■ **რძისა და კარაქის ქარხნები.** ყარაიაზში, სართიჭალაში, პატარძეულში, ხაშმსა და ახმეტაში გახსნილია რძის და კარაქის ქარხნები, რომლებიც დღეში ამზადებენ 250 ფ. რძისაგან კარაქს და სხ. რძის ნაწარმოებებს.

■ **[illegible] სამეურნეო იარაღები.** ქ. აღმასკომის [illegible] მამულის განყოფილებამ შეიძინა სასოფლო სამეურნეო იარაღი მანქანები, რომლებიც განაწილებული იქნება გლეხებს შეღავათიან პირობებში.

= **დასასვენებელი სახლი ბოდბეში.** სიღნაღის მაზრის დამზღვევმა კასამ შუამდგომლობა აღძრა სოც. დამზღვევის სამმართველოს წინაშე სოფ. ბოდბეში დასასვენებელი სახლის მოსაწყობად სიღნაღის დამზღვეულ მუშა-მოსამსახურეთათვის.

■ **სამკურნალო ხელსაწყოები მაზრებისათვის.** ჯანმრთელობის კომისარიატმა სამხრეთ ოსეთში გაგზავნა 23 სამკურნალო ხელსაწყო, შორაპნის მაზრაში—10, ლანჩხუთში—48 და რაჭაში—17.

■ **ფასების დაწევა ხორცზე.** ფასის რეგულირების შემდეგ ფასებმა ხორცზე [illegible] დაიკლო: ცხვრის ხორცზე 18—20 პროც. კამეჩის და ძროხის ხორცზე—25—30 პროც.

■ **მუშათა კლუბი.** ქ. აღმასკომმა სიღნაღის მაზრას პროფბიუროს მუშათა კლუბის [illegible] გადასცა დახმარების სახით 500 მან.

■ **კიოსკები ტელეფონის აპარატებისათვის.** ფ.-ტ. სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ქ. აღმასკომის წინაშე, მასზე ქალაქში არსებულ ყველა კიოსკების გადაცემის შესახებ ტელეფონების აპარატების დასადგმელად და საფოსტო ნიშნების გასასყიდათ (ტელეფონებით სარგებლობა შეეძლება ყველა მოქალაქეს).

■ **ელექტრიკების საკავშირო კონფერენცია.** ელექტრიკების საკავშირო კონფერენციაზე მოსკოვში გაგზავნეს ინჟ. ნიკო ვასილიევი [illegible] შეთანხმებით.

■ **ჯამაგირების გადასინჯვა.** ქ. აღმასკომმა გამოჰყო კომისია ამხ. რუხაძის, მესხის და ვაშაკიძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა რაიაღმასკომების თავმჯდომარეების, პრეზიდიუმის წევრების და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების ჯამაგირების გადასინჯვა.

= **სამკურნალო დახმარება.** აგარაკებზე გაგზავნილ [illegible] სამკურნალო [illegible] დახმარებით აღმოუჩენენ [illegible] წესით, რა წესითაც სწარმოებდა თფილისში.

— **ფასების დაწევა სათბობ მასალაზე.** სათბობ მასალაზე ფასების რეგულირების შემდეგ დაიკლო: ბენზინზე—2 პროც., მანქანის ზეთზე—8 პროც., ხოლო ნავთი დაინიშნა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის 1 მან. და 21 კ. ფ., კერძო საწარმოებისათვის—1 მ. და 27 კაპ. ფუთი.

■ **ავადმყოფების შემოწმება.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დაადგინა შეამოწმოს ის ავადმყოფები, რომელნიც ამ ჟამად იმყოფებიან აგარაკებზე, მათი აგარაკებზე დარჩენის ვადის გაგრძელების მიზნით.

■ **დასასვენებელი სახლი [illegible].** სოც. დაზღვევის სამმართველომ ნება დართო ქუთაისის დამზ. კასას დასასვენებელ სახლში გახსნას 20 საწოლი.

= **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** კვირას 8 ივნისს დილის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში ამავე უნივერსიტეტის დოც. გრიგოლ ნათაძე დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად საჯაროდ დაიცავს სადისერტაციო შრომას: „უძველეს საბერძნეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, როგორც კოლონის აჯანყების საფუძველი". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფესორები ივ. ჯავახიშვილი და მიხ. პოლიევქტოვი. შესასვლელ ბილეთების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის სამდივნოში.

შემთხვევები

ოთხი ბავშვის ერთად დაბადება. 2 ივნისს ავჭალის წყალსადენის თანამშრომლის რამიშვილის ცოლმა ერთად დაბადა 4 ბავშვი: 3 ვაჟი და ერთიც ქალი.

■ **დაჭრა.** 31 მაისს ღამის 12 საათზე, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის მახლობლად მე-9 სამილიციო რაიონის მილიციელმა ვლადიმერ ნიჟარაძემ რევოლვერით სასიკვდილოთ დაჭრა ვინმე მეძავი ქალი. დაჭრილია ორი ტყვიით წელში და გვერდში. დაჭრილი გადაგზავნილი იქნა რუსის მთავარ საავადმყოფოში. დამნაშავე შეიპყრეს. მიზეზი გამოურკვეველია.

■ **დუქნის გაქურდვა.** 31 მაისს, ღამით გაქურდულ იქნა მოქ. კონსტანტინე [illegible] დუქანი პუშკინის ბაღში მდებარე. წაღებულია 104 მ. [illegible] ასატურ გრიგორიანცი ნაპარავი ნივთებით შეიპყრეს.

■ **თავის მოსაკლავათ.** 31 მაისს 8 საათზე, [illegible] ქ. № 11, მე-2 სართულიდან თავის მოკვლის მიზნით გადმოვარდა ქუჩაში მოქ. [illegible] არტანიანისა. დაშავებული მოთავსებული იქნა საავადმყოფოში. მიზეზი გამოურკვეველია.

= **ცეცხლი.** 1 ივნისს დილის 7 საათზე ორთაჭალის ქ. № 5 მოქ. [illegible] გიორგი სარქისოვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილ იქნა ცეცხლის-მქრობელ რაზმის მიერ. ცეცხლი გაჩენილა დაუქრობელ პაპიროსის ნამწვავის გადაგდებით. ზარალი უდრის 7,500 მან.

■ **ქურდობა.** 30 მაისს, ღამით ორთაჭალის ქ. № 9 გაქურდულ იქნა მოქ. დიმიტრი გუბურკოვის ბინა, წაღებულია 100 მან. ნივთები.

■ 1-ლ ივნისის ღამით [illegible] ქ. № 6 გაქურდულ იქნა მოქ. კონსტანტინე ლაბარტყავას სასადილო მოქ. დუსებიას მიერ, რომელიც იძინებდა აღნიშნულ სასადილოში, წაღებულია ფულად 200 მან.

= **თავდასხმა.** 27 მაისს დილით [illegible] ფარდულებში (გარეკახეთის სამილიციო რაიონი) იალონის მთასთან ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს ტფილისიდან მიმავალი დუშეთის მაზრის მცხოვრებნი გიორგი სიგრიშვილი და ვაშიკა ზურაბაული. წაიღეს 264 მ.

= **დაჭრა.** 26 მაისს დილის 11 საათზე სოფ. [illegible] (ერწოს სამილიციო რაიონი) ლეონ ბურდულმა [illegible] სასიკვდილოდ ხანჯლით დაჭრა მოქ. სოლომონ ბურდული. დამნაშავე შეიპყრეს.

ხელოვნება

პროლეტარულ შემოქმედების საღამო

ორშაბათს, 2 ივნისს სახელმწიფო ოპერაში პროლეტკულტისა და პროლეტარულ მწერალთა კავშირის მიერ გამართულ იყო ინტერნაციონალური საღამო.

ნამდვილად კი—თითო სომხური და თურქული ლექსის გარდა საღამო შედგებოდა ქართული და რუსული შინაარსის.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეს მეორეთ იმართება პროლეტკულტის საღამო. უნდა გულახდილათ ვსთქვათ, რომ საღამომ ვერ დასტოვა სასურველი შთაბეჭდილება.

ჩვენ რომ ამ საღამოს შინაარსით გავზომოთ პროლეტარული ხელოვნება, მაშინ შარშანდელს აქეთ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა წინ ამ დარგში.

მაგრამ ჩვენ სრულიადაც არა ვართ ამ აზრისა.

მართალია პოლიტიკურათ გამოკვეთილმა მუშათა კლასმა ჯერ ვერ შექმნა ხელოვნებისა და შემოქმედების ასპარეზზე ღირსეული ლაშქარი, მაგრამ მაინც ეტყობა დიდი ცდა, დიდი ძარღვების დაჭიმვა.

2 ივნისის საღამომ ვერ მოგვცა სრული წარმოდგენა პროლეტარულ შემოქმედების ბრძოლაზე, წინსვლაზე, გამარჯვებაზე.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ხელოვნების ყველა დარგში უკვე მრავალთ მოიპოვებიან „წითელი შემოქმედნი". ამ საღამოს კი არ იყო გამოყენებული ყველა ეს საკუთარი ძალები და ის, რაც ვნახეთ, საკმარისად არ ჩაითვლება პროლეტარულ შემოქმედების სადემონსტრაციოდ.

ხელმძღვანელებს აკლდათ უნარი და ფრთის გაშლა მთელი ძალ-ღონის გამოფენაში და გამოყენებაში.

ამიტომ საღამო გამოვიდა ერთფეროვანი და მოსაწყენ ელფერს ატარებდა.

[illegible] ამხ. ს. ეულმა ქართულად და იმბოლოვმა რუსულად წარმოსთქვეს სიტყვები პროლეტარულ ხელოვნების მნიშვნელობაზე და განვითარებაზე.

შემდეგ დაიწყო საკონცერტო განყოფილება.

მანსვეტოვის ჰიმნი ოქტომბრის რევოლუციაზე უფრო ზღაპრულ მელოდიის მოგვაგონებს, ვიდრე საუკუნოებრივ სალტების დაწყვეტისა და ახალ ბრძოლის ყიჟინით მთელ მსოფლიოში შეჭრას.

ხიჯიაშვილი და ნავოლოცკი კითხულობენ საკუთარ ლექსებს.

განსაკუთრებით მოსაწონი იყო ნავოლოცკის „ლურჯი ხალათი", სადაც გულწრფელად არის შეხამებული ერთმანეთთან ლექსიც, თვით ავტორიც და მისი გამოწყობილი ლურჯი ხალათიც.

ახალგაზრდა მომღერალმა [illegible] შეასრულა რამდენიმე ნომერი ქართულად და რუსულად. ხმა ტკბილი და მაღალია, მაგრამ ჯერ დაუხვეწავი.

რუს მსახიობ ქალის მიერ საუცხოოდ იქნა წაკითხული მაიაკოვსკის „ლევი მარში" და ეფრემინის ლექსი.

[illegible] გუნდმა მოგვცა მხოლოდ ორი სიმღერა. კარგი და ძლიერია ტექსტი „კომუნარების მარში", მაგრამ გუნდი ერთობ მცირერიცხოვანი გამოდგა მის შესასრულებლად.

ბარიტონ [illegible] ყველაზე საამური შთაბეჭდილება დასტოვა თავისი დამშვიდებული, ძლიერი და სასიამოვნო ხმით.

ბოლოს დასდგეს [illegible] სცენა „აღთქმულ მხარეს" სანდრო ეულისა.

კარგები იყვნენ მსახიობნი [illegible] ცეკვაში.

თანამედროვე პროლეტარულ შემოქმედებას უფრო მეტი შეუძლია და მეტი მოეთხოვება, ვიდრე მოგვცეს ამ საღამოს.

ლ.

[illegible] და ლეონ აზერპატიანების სტუდიის საღამო

კვირას, 1 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა აზერპატიან-ლისიციანების რიტმისა და პლასტიკის ინსტიტუტის საღამო. შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუტმა გაამართლა თავისი დანიშნულება. აღსანიშნავია საქმის კარგად დაყენება და მშვენიერი შედეგები.

ვარჯიში სწარმოებს მუსიკის აკომპანიმენტის ქვეშ და მუსიკით ყოველი ტაქტი და ნიუანსი ეთანხმება სხეულის პლასტიურ მოძრაობას. აქ მიღწეულია არა მარტო პლასტიკის და რითმის, არამედ [illegible] მიმიკის მხატვრულობაც. ცოტა არ იყოს მოულოდნელია შუმანის ეტიუდების ცეკვა, (უნდა პლასტიური ცეკვით) განსახიერება, რადგან ამ ეტიუდების ღირსება მხოლოდ მუსიკალური ხასიათისაა. რიმსკი—კორსაკოვის „შეხერეზადის", რომლის მუსიკა პროგრამულ ხასიათს ატარებს და რომელიც შეხერეზადის ზღაპრების ილუსტრაციას წარმოადგენს, უფრო მოუხერხებელი ჯგუფურ პლასტიურ ცეკვით განსახიერება. მშვენივრად იყო შესრულებული აგრეთვე გუნოს „ვალპურგის ღამე". ცალკე შესრულებათაგან აღსანიშნავია გრიგის სერენადა, „[illegible]" ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველი"-დან და ეგვიპტური ცეკვა.

საერთოდ ნათლად სჩანს საქმისადმი დიდი სიყვარული, სერიოზული მოპყრობა და გემოვნება.

ა. მ.

■ **ზაქარია კანდელაკის იუბილეი.** დამსახურებული მასწავლებლის ზ. კანდელაკის 40 წლის იუბილეი, რომელიც უნდა გამართულიყო დღეს, გადაიდო კვირისათვის.

■ **მუშათა ცენტრ. კლუბი.** საქართ. პროფ-საბჭოს კულტგანყოფილებამ მუშათა ცენტრ. კლუბში სიმფონიური ორკესტრის დირიჟორად მოიწვია ე. სტოლერმანი. პირველი საღამო გაიმართება 7 ივნისს.

■ **არსენალის მუშათა კლუბი.** არსენალის საქ. რკინ-[illegible] კომიტეტმა გადასწყვიტა ააგოს მუშათა კლუბი.

■ **კულტურული მუშაობა საქონლის სადგურის მუშებში.** საქონლის სადგურის მუშებმა დაარსეს კულტურული წრე, რომელიც მუშებისათვის გამართავს წარმოდგენებს და ლექციებს.

პატარა ფელეტონი

მგლები და „ფოცხვერი" *)

თემთა პალატაში კონსერვატორებმა დაილაშქრეს მაკდონალდის წინააღმდეგ უმუშევართა საკითხის მოუგვარებლობის გამო

(დეპეშებიდან).

„[illegible] მგელს შევეჭამე მეც
ვიდრე მგლის ფერისა ტყავსა".
ხალხური ანდაზა.

ჩვენ სერ მაკდონალდს ვიცნობთ
როგორც მუშათა ლიდერს,
თუმც არც მუშაობს საქმით,
რასაც რომ სიტყვით, იმდენს.
მაინც მუშათა ზოგ წრეს
ღმერთად მიაჩნდა იგი,
რომ სერ მუშაობს როგორც
ითხოვს მუშათა რიგი!
და ეს რიგი კი ითხოვს,
რომ ხანა კაპიტალის,
ვით ინსტიტუტი ჩაგვრის,
მუყლეფი მუშათა ძალის,
შეცვლილი იქნას უფრო
მუშათა სარგო წესით,
რომ პირობები შრომის
მოეწყოს უკეთესად;
რომ კაპიტალის თანხლებ
უმუშევრობას, კრიზისს,
ავსცდეთ რამეფრად, რადგან
ეს მუშებს ძვირად გვიჯდის!..
ეს აზრი სულ თან სდევდა
დღემდის მუშათა ლიდერს,
რომელსაც [illegible],
აბა, ვინ წარმოიდგენდ?!
და დღეს კი მინისტრობა
როცა ეღირსა სერებს,
მუშების ბედზე ზრუნვა
დარჩათ მუშათა მტერებს..
და აი კონსერვატორებს,
თემთა პალატის წევრებს,
უთქვამთ, რომ მაკდონალდმა
მიხედოს უმუშევრებს.
მოაწესრიგოს მათი
ყოფა, ცხოვრება, ბედი...
მოდი და ასეთ კაცს აწ
შენ [illegible].
ყბედი ის არის, ვინც რომ
შენ გაკეთებას გპირდება,
გზა გაიკეთა შენით
და როცა განაპირდა **),
სულ დაივიწყა შენი
წარსულიც, აწმყოც, ბედიც,
და გაბითურდა იგი,
რომ მას დღეს „[illegible]"
[illegible]!..

ონისიმე.

პროვინციაში

ოზურგეთის მაზრის გლეხთა დამხმარე კომიტეტების მეორე კონფერენცია

15 მაისს ქ. ოზურგეთში გაიხსნა გლეხთა დამხმარე კომიტეტების მე 2-რე სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენლები ყველა თემებიდან, ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგები და სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ვ. ცინცაძე.

კონფერენციის დღის წესრიგი იყო შემდეგი:

1. მოხსენება გლეხკომების მნიშვნელობაზე.
2. სამაზრო კომიტეტის მუშაობის ანგარიში.
3. გაზეთ „მიწის მუშის" გავრცელება მაზრაში.
4. არჩევნები სამაზრო გლეხკომის და მისი სარევიზიო კომისიის.

პირველ კითხვაზე ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. ცინცაძე, რომელმაც შეეხო ისტორიას გლეხკომებისას რუსეთში და ჩვენში. მომხსენებელმა გააშუქა გლეხთა საკითხი, ამხ. ლენინის და სხვა ჩვენი ბელადების შეხედულებათა მიხედვით. შემდეგ [illegible] იმ კონფ-

ჭლექის ქირურგიული წამლობა

ომი და მისი შედეგები—შიმშილი, გაჭირვება, უმეცრება, ფიზიკური დაღლილობა, სხვადასხვა მატერიალური და მორალური უკუღმართობანი გახდნენ მიზეზი ჭლექის უზომო გავრცელებისა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ევროპაში.

ტუბერკულიოზის ამ შემაძრწუნებელ ფაქტორთან ბრძოლაში, რომელიც [illegible] შეუდარებლად უფრო მეტ მსხვერპლს ვიდრე ომიანობა და ყოველგვარი ეპიდემია, ადამიანის ნიჭმა ამ ხანობამდის ვერ გამოიგონა ცოტად თუ ბევრად უებარი საშუალება.

დღემდის მიღებულმა სამკურნალო საერთო მეთოდებმა, როგორც არის: [illegible], ჰაერი, მზის სხივი და კვება, ვერ შესძლეს შეემცირებინათ ჭლექით ავადმყოფობის რიცხვი.

სპეციალური ტუბერკულინის პრეპარატებმაც, რომელთა იდეა მოგვცა კოხმა, ოდნავეც ვერ გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები.

აქედან ცხადია, როგორი განსაკუთრებული ყურადღებით ჩვენ უნდა მოვეკიდოთ იმ მეთოდს, რომელიც, როგორც გვიჩვენებს ამ დარგის საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა, არის დასაყრდენი იარაღი ამ სახალხო უბედურებასთან ბრძოლაში.

ასეთ მეთოდათ უნდა ჩაითვალოს ფილტვების ჭლექის ქირურგიული წამლობა, რომელიც გერმანიაში ყველაზე უკეთესად არის დამუშავებული ცნობილი მეცნიერების: ზაუერბრუხის, ვილმსის, ბრაუერის, ფრიდრიხის და მათი მოწაფეების მიერ.

სინამდვილესთან შორს არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ყველა საუკეთესო ქირურგიულ კლინიკებში ამ ჟამათ ამ მეთოდის შემოღების და გავრცელების გზას ადგანან.

[illegible] ინტერესით აიხსნება ის გარემოება, რომ ამა წლის ქირურგიულმა კონგრესებმა, როგორც გერმანიაში, ისევე რუსეთში, დააყენეს საპროგრამო საკითხათ ფილტვების ქირურგია.

ჭლექის წამლობა ქირურგიული მეთოდით არ არის ახალი. ჯერ კიდევ 1873 წ. მოსლერმა სცადა შეეშხაპუნებინა კარბოლიუმის და სალიცილის სიმჟავე ფილტვებში. რასაკვირველია, ეს მეთოდი უშედეგო აღმოჩნდა და სრულიად უკუგდებულ იქნა.

ამის შემდეგ შეუდგნენ ჯერ ცხოველებზე და მერე ადამიანებზე ჭლექის მიერ დაზიანებული ფილტვის მწვერვალების, ხოლო ზოგჯერ მისი მთელი ნაწილის ამოჭრას.

ამ მეთოდს [illegible] გლუკი (1881), რუზე, ტუფიე (1891).

თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მათ ოპერაციებმა დროებითი სარგებლობა მოიტანეს, მაგრამ მომეტებული ნაწილი ავადმყოფებისა დაიხოცნენ ოპერაციის შემდეგ, ვინაიდან ტუბერკულიოზის ბუდე ავადმყოფი ფილტვების სხვა ადგილებზე გამოჩნდა.

27 ოპერაციიდან, რომელიც გააკეთა გამოჩენილმა ფრანგ ქირურგმა ტუფიერმა (Tuffier), მხოლოდ ერთს შემთხვევაში გადარჩა ავადმყოფი, მას ამავე დროს ტუბერკულინით სწამლობდნენ.

ამ შიგაპლევრალური ქირურგიული ოპერაციის საწინააღმდეგოთ, რომელმაც სასარგებლო შედეგები ვერ მოიტანა, წამოყენებული იქნა ექსტრაპლევრალური ოპერაცია, რომელსაც საბოლოო მიზნად აქვს ფილტვების იმობილიზაცია და შეკუმშვა.

ამ უკანასკნელ ოპერაციასთან დაკავშირებული არიან გერმანელი ცნობილი დოსტაქრების სახელები: ფრიდრიხი, ვილმსი და ზაუერბრუხი.

ესენი გამოდიოდენ იმ დაკვირვებიდან, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ფილტვების ერთი მხრის ჭლექი მიმდინარეობს ნაკლები ზიანით, როდესაც ჩვენ მივიღებთ ფილტვის შეკუმშვას და გამოთიშვას, თანახმად კვინკეს (888) და შპენგლერის (890) მიერ წარმოდგენილი მეთოდისა, რომელიც მდგომარეობს ნეკნების ამოჭრაში, პლევრის ღრუს გაუხსნელათ.

აქ დასახელებული დოსტაქრები დაადგნენ ამ გზას და მათი წყალობით წარმოიშვა ახალი მეთოდები —ექსტრაპლევრალური გულმკერდის პლასტიკის ოპერაცია, რომელიც დღეს მეცნიერებაში არის გაბატონებული.

იდეა, რომელიც საფუძვლათ უდევს ფილტვების ქირურგიულ წამლობას, არ არის ახალი. მთელი ამოცანა ამ შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ დაზიანებულ ორგანოს მიეცეს სრული უძრაობა.

ამ მიზნისაკენ მიისწრაფოდნენ ექიმები უწინაც, როდესაც ჭლექით ავადმყოფებს უნიშნავდნენ ხანგრძლივ და უძრავ წოლას.

არსებითი განსხვავება იმაში არის მხოლოდ, რომ, როდესაც ერთი ფილტვის გამო განსაკუთრებულად მთელი სხეული იძულებული იყო უძრავად ყოფილიყო, ეხლა ქირურგიული საშუალებით უძრაობა ეძლევა მხოლოდ დაზიანებულ ორგანოს და მთელი დანარჩენი სხეულის მუშაობა არ ფერხდება.

ეს კი ძლიერ მნიშვნელოვანია, რადგანაც, როგორც დაკვირვებანი გვიჩვენებენ და როგორც თვითონ მე დავრწმუნდი ზაუერბრუხის კლინიკაში, ავადმყოფებს ოპერაციის შემდეგ მუშაობის [illegible] უნარი ეძლევათ იმ დროს, როდესაც საერთო წოლის მეთოდის მიხედვით ავადმყოფი იძულებული ხდება ხანგრძლივ იმყოფებოდეს სპეციალურ სანატორიუმში და მით უძლური ხდება.

ფსიქიური ზეგავლენის გარდა, ამ საკითხს აქვს მატერიალური მნიშვნელობა, უმთავრესად იმ ავადმყოფებისათვის, რომელნიც [illegible] გამო იძულებულნი არიან ამა თუ იმ დარგში იმუშაონ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქირურგიული წამლობა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დაზიანებული არის მხოლოდ ერთი ფილტვი, მეორე ფილტვი უნდა იყოს სალი, ან ოდნავ დაზიანებული.

ქირურგიულ ოპერაციაში პირველი ადგილი უჭირავს ხელოვნურ პნევმოტორაქსს, რომლის შემოღება ამ ჟამად მეტად გავრცელებულია. ხელოვნური პნევმოტორაქსით წამლობა მდგომარეობს იმაში, რომ გულმკერდის ერთს ნახევარში, სადაც დაზიანებული ფილტვი იმყოფება, ოპერაციის საშუალებით შეჰყავთ ჰაერი, რომელიც ჰკუმშავს ფილტვს და ამრიგად უკანასკნელი გამორიცხული ხდება სუნთქვის პროცესიდან.

შეკუმშულ ფილტვში მჟავბადი ცოტავდება, ხოლო ემატება ნახშირბადი, რაც გაცილებით აფერხებს ტუბერკულიოზის ბაცილების არსებობას და განვითარებას, რადგანაც უკანასკნელნი საჭიროებენ მჟავბადს.

ფილტვებთან ერთად, ცხადია, ეკუმშება კაპილარები და სასუნთქი მილები. ამით კი მცირდება ბაცილიანი ნახველის [illegible], ხოლო ის მცირე ნაწილი, რომელიც შესაძლებელია მაინც [illegible], აღარ ვრცელდება სუნთქვის დროს სასუნთქ მილების ღრმა ნაწილებში.

ამგვარად, ძნელდება ავადმყოფობის მექანიკური გავრცელება. შემდეგ, ფილტვის შეკუმშვასთანავე ხდება შენელება და გაძნელება სისხლის და ლიმფის ცირკულაციისა (მიმოსვლისა), მაშასადამე, ძნელდება ტუბერკულიოზის ბაცილების გავრცელება და ტოქსინების შესვლა სისხლის და ლიმფის მატარებელ მილებში. ამის გარდა შეკუმშული ფილტვის შიგნით ხდება გაძლიერებული განვითარება შემაერთებელი ქსოვილისა, რის გამო ფილტვი [illegible]. ეს უკანასკნელი ფაქტი ყოველივე ეჭვის გარეშე დამტკიცებული არის ტუბერკულიოზით გარდაცვალებულ ადამიანის სხეულის გაჭრის დროს, თუ ავადმყოფს წინასწარ პნევმოტორაქსი ჰქონდა გაკეთებული [illegible] შემაერთებელი ქსოვილისა აღმოჩნდება ხელოვნური პნევმოტორაქსის გაკეთების თვის შემდეგ.

უკეთუ ხელოვნური პნევმოტორაქსი ხმარებული იქნა მეცნიერულად დაყენებულ ჩვენების თანახმად და ტექნიკურად უმწიკვლოდ, ამ შემთხვევაში უმეტეს თან მოჰყვება შემდეგი კლინიკური ეფექტი:

ხველება პირველად მცირდება და შემდეგ თანდათანობით ისპობა. ნახველის რაოდენობა პირველ დღეებში შეიძლება გადიდდეს, შემდეგში კი ისიც მცირდება და ისპობა; სიცხე ეცემა ნორმამდე. ავადმყოფს დამასუსტებელი და [illegible] ღამის ოფლიანობა სწყდება; საერთო თვითგრძნობა უმჯობესდება; წონა ტანის იზრდება.

მე მქონდა შემთხვევა მენახა ავადმყოფები, რომელთაც ერთის წლის განმავლობაში მოემატათ წონა 30—35 გირვანქამდე. ხელოვნური პნევმოტორაქსის ხმარებასა და ტექნიკაზე აქ არ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ, რომ გერმანიაში ამ უკანასკნელ დროს დამზადებული არის ბევრი აპარატები, რომლებიც ტექნიკის უკანასკნელ სიტყვათ უნდა ჩაითვალონ და რომელთა მეოხებით ოპერაციის საშიშროება ნოლამდე აღწევს.

ხელოვნური პნევმოტორაქსის გაკეთება შეუძლებელი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფილტვი არ არის შეზრდილი გულმკერდთან, ანდა როდესაც შეზრდა არის უმნიშვნელო და მცირედი. თუ შეზრდა არის მთლიანი და დიდი, ამ შემთხვევაში [illegible] და ავადმყოფი ფილტვის შეკუმშვა შეიძლება ხდება მეორე ოპერაციის საშუალებით, რომელსაც ტორაკოპლასტიკა ეწოდება და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ნეკნებს ხერხავენ გულმკერდის ღრუს გაუხსნელად. უკანასკნელი ოპერაციის შემდეგ გულმკერდი იწრება ფილტვისაკენ, აწვება მას და იწვევს მის შეკუმშვას, რის გამო ფილტვს მყუდროება ეძლევა.

გერმანიაში არსებობს სამი ქირურგიული სკოლა:

ვილმსის, ფრიდრიხის და ზაუერბრუხის. ყველა მათგანს შემუშავებული აქვს საკუთარი ტექნიკა.

ვილმსი ტორაკოპლასტიკისათვის სჭრის მე 2—11 ნეკნს, სიგრძით 8—10 სანტ. უკანა ნაწილში და 4—5 სანტ. წინა ნაწილში, ასე რომ გამოდის მთლად 12—15 სანტიმეტრი.

ფრიდრიხი ერთი დიდი ამოჭრით აშორებს ნეკნებს მთლიან მანძილზე.

ზაუერბრუხის მეთოდს ამ შემთხვევაში უჭირავს საშუალო ადგილი მათ შორის: ის ჯერ ერთი სჭრის ნეკნებს მხოლოდ უკან და, გარდა ამისა, მთელ ოპერაციას აწარმოებს რამდენიმე აქტით, ავადმყოფის მდგომარეობის მიხედვით.

უკანასკნელი ოპერაცია წარმოადგენს დიდ პროგრესს, ვინაიდან მის შეწყობით ავადმყოფი მთელს ოპერაციას კარგად იტანს, შედეგები და მიღწევები ტორაკოპლასტიკისა იგივე, რაც ხელოვნური პნევმოტორაქსის ხმარების შემდეგ.

აქ ადგილი აქვს დაზიანებული ფილტვის მოსვენებას და მის შეკუმშვას ყოველივე მისგან გამომდინარე შედეგებით.

მესამე ღონისძიება, რომლითაც მისაღწევი ხდება ფილტვის დასვენება, არის დიაფრაგმის ნერვის გადაჭრა. ასეთი ოპერაცია პირველად 1911 წელში იქნა პროფ. შტიურცის მიერ წამოყენებული, ხოლო ზაუერბრუხის მიერ პრაქტიკაში განხორციელებული. დიაფრაგმის ნერვის გადაჭრა კისრის არეში წარმოადგენს იოლ ოპერაციას, ამის თან ერთვის დიაფრაგმის სათანადო ნაწილის დამბლა. ამ დამბლის გამო ქვედა ნაწილი ზედმდებარე ფილტვისა ხდება უძრავი.

ეს მეთოდი განსაკუთრებით იხმარება, როდესაც ადგილი აქვს ფილტვის ქვედა ნაწილის ერთი მხრის დაზიანებას.

დიაფრაგმის ნერვის გადაჭრას ჩვეულებრივად აკავშირებენ ხელოვნურ პნევმოტორაქსთან, ან ტორაკოპლასტიკასთან.

პროფესორი ზაუერბრუხის კლინიკაში სამივე მეთოდი ჭლექის ქირურგიული წამლობისა ხმარებაშია, ან ერთად, ან ცალცალკე, ყოველი კერძო შემთხვევის მიხედვით.

ოპერაციის შედეგები, გრაუენის, ზაუმანის, [illegible] და ზაუერბრუხის სტატისტიკის მიხედვით, შემდეგია:

ფილტვის სრული შეკუმშვის შემდეგ 70—66 პროც. კლინიკური მორჩენისა და მუშაობის უნარის აღდგენისა; ფილტვისა და გულმკერდის შეზრდისა და ტორაკოპლასტიკის ხმარების შემდეგ—35 პროც.

უნდა აღინიშნოს, რომ ზაუერბრუხის კლინიკაში ოპერაცია გაკეთებული იქნა ისეთ მძიმე შემთხვევებში, როდესაც საკლინიკო ობიექტად წარმოდგენილი იყვნენ ავადმყოფები, რომლებზედაც წინად ხმარებული იყო ყველა მიღებული საექიმო ზომები, მაგრამ უშედეგოდ.

ამ შემთხვევებშიაც ოპერაცია დამთავრდა ავადმყოფის განკურნებით. ზაუერბრუხის სიტყვებით რომ ვიხმაროთ, ეს შემთხვევები წინადვე [illegible] უნდა [illegible].

ქირურგიული ზომების დანარჩენ მოხმარებაზე მე არ შევჩერდები, რადგანაც ისინი იშვიათად არიან მიღებული.

ამ რიგად, საგნის შესწავლამ და ევროპის საუკეთესო კლინიკებში პირადი დაკვირვებამ დამარწმუნა სრულებით, რომ ზემოაღნიშნული ოპერაციის დროზე და შესაფერისად გამოყენებით—ექიმებს შეუძლიათ გადაარჩინონ შეუდარებლად მეტი ნაწილი ადამიანის სიცოცხლისა, ვინაიდან, როდესაც ავადმყოფი თავისუფლდება ნახველისაგან, რომელიც წარმოადგენს გადამდებ ფაქტორს, და როდესაც ავადმყოფს მუშაობის უნარი უბრუნდება, ექიმი არამც თუ მხოლოდ ავადმყოფს ჰკურნავს, ის ამავე დროს გადამდები სენის ბუდეს ანადგურებს, რომლის მსხვერპლი შესაძლებელია გამხდარიყო უამრავი რიცხვი ადამიანებისა, რომელთაც ავადმყოფთან ახლო ყოფნა უხდებათ.

ექიმი ნ. [illegible].

---

*) [illegible] ტურა.

**) [illegible] ასოთ-ამწყობს შეცდომით არ აწყოს—„განადიდა!".

ონისიმე.

მუშათა ცხოვრება

5 ივნისს, საღამოს ხუთნახევარ საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია „კომუნისტი“-ს მუშკორების საგანგებო კრება. მუშკორებს ევალებათ, გამოცხადდენ უკლებლად.

მოვალეობის შესრულებაც ასეთი უნდა.

(რკ. გზების მოძრაობის და სამმართველოს საყურადღებოთ).

ა. წ. 26 მაისს თბილისიდან კახეთში მიმავალ მატარებელს საგარეჯოს სადგურმა გზა არ გაუხსნა, რის გამო მატარებელი რამდენიმე წუთით შეჩერდა სადგურიდან დაშორებით. ორთქლმავალის ხმაურზე მოვიდა მესრე, რომელმაც მატარებელს გზა გაუხსნა, მაგრამ სადგურშიც არავინ აღმოჩნდა და იმავე მესრის საშუალებით ძლივს იქნა მოყვანილი მორიგე, ალბად ის ამ დროს ღრმა ძილში იქნებოდა. ასეთ დაუდევარ და თავის მოვალეობის უცოდინარ სადგურის მოსამსახურეებს უნდა მოეთხოვოთ სათანადო პასუხი. თუ კი მათ არ შეუძლიათ სამსახური, ტყუილად არ უნდა აბანდებდნენ ადგილს.

მუშა-მოგზაური.

საბჭოთა წესწყობილებაში ასეთ საზიზღრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

გორის ქუჩა № 32-ში ცხოვრობს მოქ. კოლია სერგოს-ძე ტატიშვილის ოჯახი, რომელიც შესდგება შემდეგი პირებისაგან: ქმარი, ცოლი და ქმრის დედა. ასეთი უბედური ოჯახი არა მგონია, სადმე სხვაგან იყვეს. მუდამ ჩხუბი და უბედურება ხდება აქ. მეზობლების მტკიცებით ქმარი და მისი დედა „ცოცხლად სჭამენ“ ამ ოჯახის წევრს, ამ უბედურ მუშა-ქალს, რომელიც მუშაობს რკინისგზის საავადმყოფოში. ეს მუშა-ქალი არის ნინო ობლიშვილი, რომელიც თავის მცირე ჯამაგირით ინახავს თავის ქმარს და მის დედას.

ზნეობრივად დაცემული, სიბინძურეში ჩაფლული, ლოთი და სხვა—აი ვინ არის მოქ. ობლიშვილი.

(და ისიც თავის ცოლის მონაგები ფულით) იგი კადრულობს თავის ცოლის ცემას და შეურაცხყოფის მიყენებას.

თვითონ არც არის მუშა და არის არაფრის მცოდნე, მისი ცოლი კი 4 წელიწადია, რაც მას ინახავს.

ეს ფაქტები არის მშრომელი ხალხის პრესტიჟის დამცემი, შეურაცხმყოფელიც პატიოსანი მუშა-ქალის და მოქალაქეობრივი ადამიანობის.

ამ ახლო ხანში ამ მიზნით, რომ ის ცუდად არის და არ მუშაობს მისმა ცოლმა ნინო ობლიშვილმა უყიდა მას ტანისამოსი, ფეხსაცმელი და ბევრი სხვა რამეები იმან რომ დაინახა თავისი თავი ჩაცმული სუფთად, მოისურვა სხვასთან ცხოვრება და თავის დედისავე გარიგებით სხვა ქალთან დაიწყო ცხოვრება.

გაიგო დაჩაგრულმა ნინა ობლიშვილმა, რომ იმას ადამიანად არა სთვლიან, რომ იგი მოსტყუვდა ცხოვრებაში, წავიდა და გადავარდა მტკვარში, რათა მოესპო თავისი გაუბედურებული სიცოცხლე. ის ამ უბედურებისაგან შემთხვევით გადაარჩინეს და ახლა ის წევს რკინის გზის საავადმყოფოში.

საბრალო ქალი თხოულობს დაუყოვნებლივ ამ საქმის გარჩევას.

რკინის-გზის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურენი და ქალის მშობლები დავალებით ვთხოვთ ამხ. ხმალაძეს, მიიღოს სასტიკი ზომები, რათა დაუყოვნებლივ იქნეს ეს მხეცი ადამიანი დაპატიმრებული, გადაეცეს სასამართლოს მისი საქმე და მოეთხოვოს მას სამართლიანი პასუხი.

მუშკორი ელგა.

მუშკოოპის საყურადღებოდ.

ავლაბარში მუშკოოპის დუქანი თვითონ პატარაა, მუშტარი ბევრია და ნოქრები კი ცოტანი, რომლებიც ვერ ასწრობენ დროზე მათ გასტუმრებას. სულ ორი ნოქარია, ერთი პურს აძლევს და მეორე საქონელს. ერთი კილოგრამი წუმწუმის შეძენა რომ გინდოდეს, უნდა დაკარგო ერთ საათზედ მეტი დრო. ჯერ უნდა გამოიწერო ტალონი, მერე სალაროსთან და ბოლოს წუმწუმის მისაღებად უნდა იდგე რიგში. ამნაირად ეკარგება დრო. ხშირად თვით წევრიც კი გაურბის ასეთ შეწუხებას. შეწუხებას სჯობია, რომ ერთი კაპეიკი მეტი მისცე და მალე მიიღოს საქონელი. მიდიან კერძო ვაჭრებთან და იქ ყიდულობენ საჭირო საქონელს. რატომ ხდება ასე? შრომის ბირჟაში უმუშევართა რიცხვი თანდათან მატულობს; ხალხი მეტია უსაქმოდ, საქმე არის, რომელსაც ესაჭიროება ხალხი და აქ კი ასე არიან შევიწროებულნი. უმჯობესი იქნებოდა, რომ საქმის მოსაწესრიგებლად მოემატებინათ ნოქართა რიცხვი. მიეცით შეღავათი ნოქრებს და იხსენით მშრომელი ხალხი ამგვარი შევიწროებიდან.

ანდრო. ლიწელი.

მშვიდი ქმარი

(„უუს“-ის ადგილკ. და მილიციის საყურადღებოდ).

1-ლ რაიონში ლენინის ქუჩაზე, სახლ № 46, ცხოვრობს „უუს“-ის მუშა-მონტიორი ალექსანდრე ისკორკი; მასთანვე ცხოვრობს მისი ცოლი ოლღა ფერიტაკ 21 წ.; კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე გაზეთ „კომუნისტის“ 5 მუშკორი, შემთხვევით ამ ქუჩით მიმავალი, ასეთს სურათს წავაწყდით.

როცა ჩვენი დავალების შესრულების შემდეგ, ჩვენ შინისაკენ ვბრუნდებოდით № 46 სახლში მცხოვრებთა ყვირილმა ჩვენი ყურადღება მიიქცია და ჩვენ იძულებული ვიყავით სახლის ეზოში შევსულიყავით საქმის გამოსარკვევად.

და აი რა გამოვარკვიეთ: ალექსანდრე ისკორკა მივარდნოდა ცოლს მთვრალი და სცემა, რაც თურმე ყოველ დღე ხდება ამ მხეცი ადამიანის მეოხებით. ამის დასამტკიცებლად ჩვენ შევეკითხეთ ამ ეზოში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებმაც ერთხმად დაადასტურეს ისკორკას ასეთი მხეცური ყოფა-ქცევა მისი ცოლისადმი. ეს პირები არიან შემდეგი მოქალაქენი: გიორგი კიპარიძე, ილანჩუღოვა ქეთილია, გონჩაროვა ევდოკია და ბევრი სხვა, რომლებმაც ერთხმად განაცხადეს, რომ ისინი მეტად შეწუხებულნი არიან ალ. ისკორკას „გმირობით“.

იცის თუ არა „უუს“-ის ადგილკომმა ის „საგმირო“ საქმენი, რომელსაც ეს მისი მოსამსახურე ისკორკა ჩადის თავისი ცოლის მიმართ?

ან რატომ არ აქცევს ამას ყურადღებას იქვე გვერდით მოთავსებული 1-ლი სამილიციო ნაწილი?

საჭიროა ზომების მიღება და ისკორკასათვის ლაგამის ამოდება.

მუშკორი ყარამანი.

ადგილკომი მუშაობს.

ორთაჭალის მუშათა კლუბში № 1 გამასწორებელ სახლის ადგილკომმა მეორეჯერ დაიდგა წარმოდგენა ახალგაზრდა უმუშევართა სასარგებლოდ. პირველად წმინდა მოგება დარჩა 55 მანეთი კაპეიკებით, მეორეჯერ კი 15 მანეთი. ეს დიდი მიზნის მიღწევაა, ვინაიდან ყველა სინდისიერი მოქალაქე ვალდებულია დაეხმაროს უმუშევართ. უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: 29 მაისს ა. წ. იქნა დადგმული წარმოდგენა № 1 გამასწორებელ სახლის რუსული დრამ. წრის მიერ. წარმოდგენა ჩინებულად ჩატარდა. აფიშაში სხვათა შორის იყო ნაჩვენები ცეკვა-თამაში, მაგრამ ეს უკანასკნელი არ იყო, რაღაც მიზეზების გამო. კარგი იქნებოდა მუსიკაც რომ ყოფილიყო წარმოდგენის დასრულებამდის.

მუშკორი ა. დ. მათხუჯაძე.

სახიფათო სიარული.

(აღმასკომის საყურადღებოდ).

დავითაშვილის ქუჩის დასაწყისში მარჯვენა მხარეზე, ქვაფენილზე სიარული, განსაკუთრებით საღამოობით, საშიშ საქმეს წარმოადგენს. ქვაფენილებში სარდაფიდან ამოყვანილია ფანჯრები, რომლის მინები დიდი ხანია ჩამტვრეულია. ამის გამო ეს ფანჯრები ამ ჟამად რამოდენიმე ორმოს წარმოადგენს, სადაც თავისუფლად შეუძლია ბავშვი ჩავარდეს და დიდმა კი ფეხი მოიტეხოს საღამოს ნაკლებ სინათლის გამო. ეს ფანჯრები შეიძლება კარგი ვენტილიაციაც იყოს სარდაფისთვის, მაგრამ ამ სახით მისი დატოვება ყოვლად დაუშვებელია.

მეორე ადგილას აქვს ქვაფენილს დეფექტი. მუშტაიდის შესავალში, ქვაფენილში დატოვებულია ხის მონაჭრები, რომელიც რამოდენიმე ვერშოკი უფრო მაღალი არის ქვაფენილის ზედაპირზე. საღამოობით, ნაკლებ განათების გამო, აქ ხშირია ფეხის დაზიანება. მგზავრი ხშირად ვერ ამჩნევს ამ ხის მონაჭრებს, არტყამს ფეხს და ზიანდება. საჭიროა ეს ხის მონაჭრები მოითალოს ნიადაგის ზედაპირამდე.

მუშათა ქრონიკა

მუშკორი გოგინკა.

— რკ. გზის შრომის ბირჟა. 29 მაისს ბირჟაში ახლად ჩაეწერა 27 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა 28 მუშა.

— ახალი კოლექტივი. მე 6—შრომის სკოლასთან 1 რაიონის სპარტაკმა მოაწყო მე-10 კოლექტივი, სადაც ირიცხება 150 ბავშვი

— „წითელი ეშმაკუნები“. ამ დღეებში პლეხანოვის თეატრში წარმოდგენილი იქნება ეკრანზე „წითელი ეშმაკუნები“.

რუტიულ ლონისძიებებზე, რომელნიც უნდა გაატარონ ცხოვრებაში ჩვენმა გლეხკომებმა ადგილებზე.

სამაზრო კომიტეტის ანგარიში წარმოადგინა ამხ. ი. სურგულაძემ. კომიტეტს პირველ ხანებში უხდებოდა ბრძოლა მრავალ დაბრკოლებებთან, რადგან ბევრ ამხანაგებს და განსაკუთრებით მშრომელ გლეხკაცობას არ ჰქონდა წარმოდგენა გლეხკომების მნიშვნელობაზე და მათ როლზე ადგილობრივ პირობებში, მაგრამ ყოველივე ეს სამაზრო კომიტეტს გადაულახავს. მას ყურადღება მიუქცევია გლეხობისათვის იაფ ფასებში ფაბრიკის ნაწარმოების მიწოდებისათვის და ადგილობრივი ხასიათის წამოწყებათა დაარსებისათვის. ამ მიზნით გახსნილი აქვს მაზრაში 8 ფართალის სავაჭრო, ერთი სახარაზო ქ. ოზურგეთში, რომელშიც მუშაობს ოცამდე ხელოსანი; ტყავის ქარხანა, რომელიც ამზადებს აღნიშნულ სახარაზოს ტყავს; მოაწყო არაყის შეძენა გლეხებიდან და მისი გადაცემა სახელმწიფო ღვინის ტრესტისათვის. შეუდგა სამაზრო აღმასკომის მიერ გადაცემულ შავი ზღვის პირას მდებარე მამულ ლაგირის (ადგ. ნიგვზიანის ახლოს) მოწყობა—გაშენებას. მამული შეიცავს 700 ქც. მიწას, აქ ყავს 23 ღორი, 1 ჯორი, 1 ცხენი, 1 უღელი ხარი, 1 უღელი კამეჩი და ძროხა. აქვე დამზადებულია 85 კუბიკური საჟენი შეშა, 200 ფუთი ნახშირი; თესვენ 40 ქცევა მიწაზე სიმინდი, კომბოსტო, ბამბა, კარტოფილი და სხვა მცენარეულობა. მომავალი წლისათვის უკვე მოწვეული აგრონომი ამზადებს ჩაის, მანდარინისა და ფორთოხლის გასაშენებელ ადგილებს.

საანგარიშო ხნის განმავლობაში სამაზრო გლეხკომს გაუცია დახმარების სახით თავისი ფონდიდან პენსიონერებზე—508 მან. და 47 კაპ., ერთდროული დახმარება—585 მან. 85 კაპ., საექიმო დახმარება—480 მან. 15 კაპ. საბავშვო სახლზედ—447 მან. 68 კაპ., უპატრონო ბავშვების მოვლაზედ—208 მან 38 კაპ. და ნატურით გაუცია დახმარება 176 ფ. სიმინდი.

თემის გლეხკომთა ფონდი შესდგება მთელ გურიაში შემდეგი საშუალებათაგან: ფულით 2 784 მან. 80 კაპ., სიმინდი 2.661 ფ. 23 გ., ღვინო 11 ფუთი, თხილი—16 ფ. ხარები და ძროხა—5, ჩაის ბაღი 12 ქცევა, ვენახი 42 ქცევა, თუთის ხე—1 ნახ. ქცევა, ტყე 63 ქცევა, წისქვილები—2, 44 [illegible], 1 სახარაზო, 1 სასადილო, 3 სავაჭრო, 8 [illegible] სახლი. [illegible] აქვთ სიმინდი ნატურით 2480 ფ., ფულით 182 მან. 92 კაპ.

თემის გლეხკომებს დახმარება გაუწევიათ 893 პირისათვის—1 603 მან. 65 კაპ., ნატურით 339 პირზე—768 ფ. 13 გ. სიმინდით. თესვის კამპანიის ჩატარების დროს გლეხკომები უფასოდ ხნავდნენ თავიანთი ინიციატივით ქვრივ ობლებისა და წითელ არმიელთა ოჯახების ყანებს. აგრეთვე ამუშავებენ მიწებს საერთოდ თავიანთი ფონდის გასაძლიერებლად.

გაზეთი „მიწის მუშა“ გამოწერილია 83 ცალი.

დასასრულ ამხ. მომხსენებელმა, გადაიღო რა მომავალი მუშაობის პერსპექტივებზე, სთქვა, რომ დღეს ჩვენმა გლეხკაცობამ უკვე შეიგნო გლეხკომების მნიშვნელობა და ჩვენ ვალდებულნი უნდა გავიხადოთ თავი, რომ შევაკავშიროთ და ჩავაბათ ისინი რაციონალურათ მოწყობილ მეურნეობა წარმოებაში, რაც მისცემს საშუალებას თავი დააღწიონ ჩარჩ-სპეკულიანტებს და საბოლოოთ სიღარიბეს.

მესამე საკითხზე კონფერენცია ადგენს: გამოწერილ იქნას და გავრცელებული გლეხთა ფართე მასსაში გაზეთი „მიწის მუშა“ მაქსიმუმამდე.

სამაზრო გლეხკომში კონფერენციამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: 1. ფ. სურგულაძე, 2. ქუნტი, 3. ზ. გოგუაშვილი, 4. ვ. ერქომაიშვილი, 5 ორაგველიძე, 6. ფ. ცქვიტინიძე და 7. ს. ვახაძე; კანდიდატებათ 1. უზ. ცანცაძე და 2. ხოფერია, სარევიზიო კომისიაში, 1. გ. მახარაძე, 2. მ. კილაძე და 3 ვ. ერქომაიშვილი.

მიმდინარე საკითხებში კონფერენციამ იმსჯელა ჩოჩხათის თემში მყოფ კრამიტის ქარხნის გლეხკომზე გადმოცემის შესახებ, რაც მიენდო ახლად არჩეულ სამაზრო კომიტეტს.

გრ. ეჯენტა.

სოფ. პრიუტი (მანგლისის რაიონი)

პრიუტში ამ ბოლო დროს კერძო მოვაჭრეები ძალიან გამრავლდნენ. ამჟამად გახსნილია 7 კერძო დუქანი. მათ შორის ერთი პურის საცხობი და დანარჩენი კი ღვინის და საჭმლის. ამ თემში კოოპერატივი არ არსებობს, რომ შეიძლებოდეს კერძო მოვაჭრეების ალაგმვა. კერძო მოვაჭრეები თავაშვებული არიან, როგორც მათ მოესურვებათ, ისე ჰყიდიან აუცილებელ საჭიროების საგნებს, მაგალითად. 2 რე ხარისხის პური 10 კაპ. კერძო უბრალო 40 კ., ასურეთის გლერა ღვინო—60 კაპ. ბოთლი, ნავთი 7 კ. და სხვა. ყოველივე ეს ღარიბ გლეხობას და საბჭოთა მოსამსახურეებს აწევს კისერზე. მანგლისის რაიაღმასკომი სამი თვე არის გვპირდება კოოპერატივის განყოფილების გახსნას, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი არ სჩანს. პრიუტის თემი შესდგება 19 სოფ. და ამ თემში აუცილებლად საჭიროა კოოპერატივების გახსნა.

იაკობ ღლონტი.

კოხნარის თემი (გურია)

კოხნარის თემი შედის [illegible] რაიონში, აღსანიშნავია, რომ თემის საბჭოს თავმჯდომარე ივანე მეფარიშვილი ვერ დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ის სხვათა შორის, უწესრიგოთ ასრულებს მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების წარმოებას. ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩასაწერი წიგნებით, მიყვება ამა თუ იმ მოქალაქეს ქორწილ-ქელეხში და რამოდენიმე ხნის შემდეგ ღვინისაგან გაბრუებული მოეხეტება თემის საბჭოს სამმართველოსაკენ. ასეთი საქციელი სცემს ხელისუფლების პრესტიჟს. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

ნ. კიდი.

სოც.-ფედერალისტის განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს გაზეთში ჩემს განცხადებას.

1918 წ. ვიყავი სოც. ფედ. სარევ. პარტიის გორის ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრი; მას შემდეგ ვეწეოდი აქტიურ მუშაობას პარტიაში, ვიყავი გორის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარეთ.

სუსტი იყო ჩემში პოლიტიკური მსოფლმხედველობა, მაგრამ ვერ ვტოვებდი აქნობამდის პარტიის რიგებს, სანამ საბოლოვოთ არ დავრწმუნდებოდი მათ უტაქტიკობაში.

ჩვენი პარტიის ლიდერების საქმიანობას თავიდანვე შეადგენდა მშრალი და ლამაზი სიტყვების ძახილი და არავითარი რევოლიუციონური სულისკვეთება მათში არ მჩანდა. ისინი სხვადასხვა დროის საქ პოლიტიკურ მომენტში და დღესაც გაიძახოდნენ: „გადაარჩინეთ დამოუკიდებელი საქართველო“ თუ გინდ ის ბურჟუაზიულიც ყოფილიყო

დღიდან საქართველოს გასაბჭოების ჩვენი პარტიის გამოეცალა ლეგალურათ მუშაობის ნიადაგი და გადავიდა არალეგალურ მუშაობაზე

ჩვენი ახალგაზრდების ცეკაც შეუდგა ენერგიულად მუშაობას მუშურ ხელისუფლების წინააღმდეგ. არც გორის მაზრა ასცდა ამ „საქმიანობას“. ჩვენ გორელი ამხანაგებიც შევუდექით მუშაობას: დავაარსეთ სამაზრო კომიტეტი და რამდენიმე იაჩეიკა ყველგან არალეგალური ლიტერატურას და ვავრცელებდით სოფლად და ქალაქად. ჩვენი პარტია ოცნებობდა საქართველოში უცხო ძალების ინტერვენციაზე ამ რამდენიმე თვის წინეთ ამხ. № გადმომცა ცეკასაგან წინადადება დამეარსებინა სამხედრო ორგანიზაცია და გამეწია ხელმძღვანელობა მისთვის.

აი ეს არის ლიდერები მუშათა კლასისა

ამხანაგებო! განა შინაური შეიარაღებული გამოსვლები არ არის ღალატი მუშათა კლასის და არ მოასწავებს ეს ჩვენი ერის ფიზიკურად განადგურებას? განა უცხო ძალების ინტერვენცია ჩვენში არ ნიშნავს კაპიტალისტების გაბატონებას, ამას შედეგად მოჰყვება ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ჩვენში გაბატონება. დავრწმუნდი რა თქვენს უტაქტიკობაში, მე თქვენთან ყოფნა შეცდომად მიმაჩნია.

ამხ. სანამ გვიან არ არის. ჩვენი ფანატიკურობით გაკეთებული შეცდომები ჩვენვე გამოვასწოროთ..

ვათავებ რა ჩემს განცხადებას გულწრფელად აღვნიშნავ, რომ ჩემს მოქმედებაზედ არავითარ ძალდატანებას არ ჰქონია ადგილი.

ამხ.! თუ გწამს ჩვენ ქართველ ერის კეთილდღეობა, უნდა დავჰგმოთ ძველი უნიადაგო გზა, გულწრფელად დავსდგეთ საბჭოთა პლატფორმაზე და შევუდგეთ საქართველოს კულტურულ ეკონომიურ აღორძინებას.

გ. რთხელაშვილი.

კიდევ მენშევიკურ ავანტიურაზე

მე როგორც ყოფილი მენშევიკი, ვალდებულად ვრაცხ თავს გავაცნო საბჭოთა საქართველოს მშრომელ მასას ის ავანტიურისტული მოქმედებანი, რომელთაც სჩადიოდნენ მენშევიკები დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა.

რომ გურიის გლეხების სიმპატია მათ მხარეზე გადაეხარათ, ისინი არ ერიდებოდნენ არავითარ სიცრუეს და ყალბი ცნობების გავრცელებას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ვადათ ასახელებდნენ პირველად—ორ კვირას, შემდეგ—ორ თვეს, სამს, ექვს და შემდეგ ერთ წელს. ამბობდნენ: აი სადაც არის დაიძვრის ანტანტას ჯარები, წითლები იძულებული გახდებიან დასტოვონ საქართველოს საზღვრები და მენშევიკური მთავრობა დაბრუნდება საქართველოში

პირველად ასეთ ხმებს სიმართლედ ასაღებდნენ გურიის მშრომელთა შორის, რის მეოხებით მრავალი მშრომელი და საზოგადოების სასარგებლო პირები გადიჩეხნენ ავანტიურის მორევში.

თუმცა ამ ბოლო დროს გლეხობის უმრავლესობას აეხილა თვალები და ასეთ ცრუ ცნობებს მათში გასავალი აღარ აქვს, მაგრამ ხსენებულ ავანტიურით მოცემული მსხვერპლი გურიის გლეხებისათვის მეტად საგრძნობია და ისტორია ამას [illegible] არ აპატიებს. ერთ ასეთ ავანტიურისტულ მოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს მენშევიკების ცეკას სამხედრო ორგანიზაციის დაარსება.

მათ არ იკმარეს ყალბი ცნობების მიწოდებით გლეხების მოტყუება და [illegible] ბრძოლაში ჩათრევა, [illegible] მშრომელებს და თავისი არსებობა [illegible] გაეხანგძლივებიათ. ამ მიზნით საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1922 წ. არსდება რაღაც სამხედრო ორგანიზაციის მაგვარი, რომლის დაარსების დროსაც მენშევიკების დამახასიათებელ სიცრუეს და სიყალბეს ჰქონდა ადგილი

პირველად ეს ორგანიზაცია ისახავდა მიზნად ანტანტის ჯარების საქართველოში მოსვლის შემდეგ (!) დაეცვა შინაური წესრიგი და მცხოვრებლების მშვიდობიანობა, მაგრამ შემდეგში როცა გლეხობა ცოტათი გაერკვა იმათ სიყალბეში მოინდომეს,—წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო,—ამ ორგანიზაციისთვის სხვა ხასიათი მიეცათ, რისთვისაც დაიწყეს წმინდა სამხედრო ცნობების შეკრება. და რომ გურიის გლეხებს არ აეხილათ თვალები და არ შეეგრძნოთ მთელი სიმძიმე [illegible] ავანტიურის, შეიარაღებული გამოსვლა [illegible] იქნებოდა, ალბად და მაშინ ხომ დაიღუპებოდა ყველა.

ასეთი ავანტიურისტების თავზე [illegible] გურიის გლეხებმა? [illegible] იმ პასუხისმგებლობა პირთათვის, რომლებიც ამას აწყობდნენ და დღეს კი ნადირობენ ტყეში დაძრწიან? არა იმათ ფაქტიურათ პასუხი არ მოეთხოვებათ რადგან იმალებიან. კიდევ კარგი, რომ მშრომელი მასა არ წამოეგო იმათ ანკესზე და როგორც ყოველთვის გონიერული გზით წავიდა.

შემდეგშიც გურიის გლეხობა ვალდებულია უფრო სიფხიზლით მოეპყრას იმ ავანტიურისტებს, რომლებიც ცდილობენ მათ გადაჩეხვას უბედურების უფსკრულში. ჩვენმა გლეხებმა სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ კიდევ აქ-იქ დარჩენილ ავანტიურისტების წინააღმდეგ, მოისპონ ისინი და მით უზრუნველჰყონ თავიანთი შინაური წესრიგი და მშვიდობიანობა.

ყოფილი მენშევიკი გიორგი ქილიფთარი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 20

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოისა

ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის შესახებ.

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ქ. მოსკოვში არსებული ვ. ი. ლენინის ინსტიტუტი ცნობილია ერთად-ერთ სახელმწიფოებრივ დასაცავ ადგილად ვლადიმერ ილიას ძის ულიანოვის (ლენინის) ყველა ხელნაწერისა და ყველა ორიგინალური საბუთისათვის, რომელიც უშუალოდ შეეხება მის მოღვაწეობას (მაგალ. ყოფილი ჟანდარმერიის სამმართველოს მასალები მის შესახებ და სხვა.) ამის გამო საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს წიგნის პალატას უგზავნოს ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს თითო ცალი ვ. ი. ულიანოვ-ლენინის თხზულებათა ყველა გამოცემისა, რაც მიღებულ იქნება პალატაში და აგრეთვე ყოველი გამოცემისა, რაც დაიბეჭდება სპეციალურად ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) შესახებ, ან რომელშიაც იქნება მისი სურათი და სხვა რამ მისი გამოსახულება, აგრეთვე წიგნებისა (ჟურნალებისა, გაზეთებისა, პლაკატებისა და სხვ.) სპეციალურ-ეკონომიური და ისტორიულ-რევოლიუციონური საკითხების შესახებ.

2. დაევალოს ყველა ფოტოგრაფიას, რომელსაც როდისმე გადაუღია ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სურათი ცალკე, ან ჯგუფებში, გააკეთონ ამ სურათების ნეგატივები ან ფირები და გაუგზავნონ ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს, ან უჩვენონ სად არის ეს ნეგატივები.

3. დაევალოს ყველა კინო-საწარმოს გადასცეს ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს ყველა ფილმების დედნები, სადაც-კი გამოსახულია ვ. ი. ულიანოვი (ლენინი).

4. დაევალოს ყველა სტამბას, ცინკოგრაფიას, ფოტოტიპიას, ლიტოგრაფიას, გამომცემლობას და სხვა, წარადგინონ ვ. ი. ლენინის ინსტიტუტში სამ-სამი ცალი ვ. ი. ლენინის სურათის ყოველნაირი ანაბეჭდი (კლიშე), რაც მათ ექნებათ და შემდეგშიაც უგზავნონ აგრეთვე სამ-სამი ცალი ყოველგვარი გამოსახულების კლიშე, რაც მათ მიერ იქნება გაკეთებული და მასთანვე უჩვენონ სად იქნა მოთავსებული ეს გამოსახულება.

5. თვალყურის დევნება ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაევალოს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი— თ. [illegible].

1924 წ. მაისის 31

თბილისი სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ოთხშაბათს, 4 ივნისს, დღის 12 საათზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში მოწვეულია კოოპერატიული კომისიის სხდომა.

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების გამოცხადება: ერისთავის, ერქომაიშვილის, აკიმოვის, ვარლამოვის, მაიერის, კერვალიძის, ელბაქიანის, მღებრიშვილის და საარმიო კოოპერაციის წარმომადგენლის.

თბილისის კომიტეტთან არსებულ კოოპერატიულ კომისიის თავმჯდომარე— გახიანი.

* * *

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იწვევს სამი დღის ვადაში ამხ. ოდილავაძეს და მესტიაშვილს.

თბილისის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილ. გამგე ა. პენიაკოვი.

* * *

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 4 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალური კლუბის დარბაზში მოწვეულია არსენალის რაიონის სადელეგატო კრება.

სავალდებულოა ყველა დელეგატების და უჯრედების მდივნების გამოცხადება.

დღის წესრიგი: 1) ამხ. გუსეინოვის მოხსენება ფულის რეფორმის მსვლელობის შესახებ. 2) მიმდინარე საქმეები.

მდივანი: მასხულია.

* * *

ქალთა ორგანიზატორებს ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილება წინადადებას გაძლევს თქვენ გამოცხადდეთ ივნისის 4 რაიკომის შენობაში ქალთა ორგანიზატორების თათბირზე დღის 2 საათზე.

აგრეთვე აცნობებთ თქვენი წარმოებ-დაწესებულების ყველა დელეგატ ქალებს, რომ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ოთხშაბათს, ივნისის 4, საღამოს 5 საათზე ქალთა სადელეგატო კრებაზე, რომელიც შესდგება 30-ე შრომის სკოლის შენობაში რაიკომის პირდაპირ. სავალდებულოა ყველა ქალთა ორგანიზაციების და დელეგატების გამოცხადება პროფესიონალური დისციპლინის ძალით.

დღის წესრიგი: 1) საბჭოთა აღმშენებლობა. „სპარტაკი“-ს მნიშვნელობა, მომხსენებლად იქნებიან ამხ. [illegible], ბზეკალავა და მელიკოვი.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე ბიბინეიშვილი.

* * *

დღეს, 4 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევის თეატრში შესდგება პარტიული და სადელეგატო კრება ლენინის რაიონის უჯრედების მდივნებთან ერთად. დღის წესრიგი: 1. გადარჩევა რაიონ. ბიუროსი, 2. საექიმო-საკურორტო კომისიის ცნობის შესახებ და 3. მიმდინარე საქმეები:

ყველა დელეგატების და უჯრედების მდივნების დასწრება სავალდებულოა.

ლენინის რაიკომის მდივანი გოლდბაუმი.

* * *

ოთხშაბათს, 4 ივნისს, დღის 2 საათზე, კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალურ სახლში შესდგება იმ კომისიის ბიუროს სხდომა, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს სტუდენტობის საზაფხულო მუშაობა სოფლად.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: რუხაძე (სახელ. პოლიტექ. ინსტიტუტი), ოდილავაძე (სახელ. უნივერსიტეტი), მესტიაშვილი (სახ. უნივ.), სტეპანიანი, ზოკგაია, (ა | კ კომუნ. უნ-ტი), თუთუნჯიანი, გარულავა (სახელმწიფო პოლიტ. ინსტ.) იოგიძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფილება

შავი ქვის სამრეწველო წარმოებების

„კავკასიის მადნეულობის ამხანაგობა“ („კარუტო“)

შეზღუდულ პასუხისმგებლობით

ჭიათურა—თბილისი—[illegible]

ბალანსი

1924 წ. 1-ლი იანვრისათვის

აქტივი.

	ფუნ. სტერ.	მან.	კ.
კასა და ვალიუტა	130 3 8,4	12361	26
აქციები და წილი	3753 5 0,3	[illegible]	89
დებიტორები გახსნ. ანგარიშ.	19677 13 4.4	186936	85
მასალები წარმოებისათვის	9474 1 10,9	[illegible]	91
უძრავი ქონება	251 299.6 2 0	238734	43
სესხი მოსამსახ. ბინების ასაგებად	380 14 1,2	[illegible]	70
დაუმთავრებელი შენობები და სხვ.	1788 4 7,2	[illegible]	18
მოძრავი ქონება	[illegible]	[illegible]	50
სალდინი	46787 10 2 9	44448	36
წარსული წლების ზარალი	46796 13 8,1	444568	49
	445093 2 3,2	4228384	57

პასივი.

	ფუნ. სტერ.	მან.
1. კაპიტალი.	[illegible]	[illegible]
2 ამორტიზაცია	53766 13 3,1	510783
3. ვალები:		
ა) უცხოელი კრედიტორები	[illegible]	[illegible]
ბ) მიმდინარე ანგარიშები	[illegible]	415433
4 კრედიტორები გახსნ. ანგარიშებით	[illegible]	[illegible]
5. გარდამავალი თანხები	12547 5	119198
	445093 2 8,2	4228384

ნ. 1191 1—1

მთავარი რწმუნებული [illegible].

განცხადებანი

კვირას, 8 ივნისს სოფელ ძირულაში (შორაპნის მაზრა) გადახდილ იქნება
დომინიკა ნიკოლოზის ასულის
ვარლამოვის
გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე პანაშვიდი, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მისი დედა [illegible], მეუღლე იაკობი და შვილები მარიამი და ოლღა ვარლამოვები.
№ 1122—1—1

საქართველოს მელითონეთა კავშირის ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგ მელითონეებს ძვირფასი ამხანაგის, მელითონეთა კავშირის ცენტრალური გამგეობის სამდივნოს წევრის ამხ.
სერგი ივანეს-ძე
ბახტიაროვის
გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 3 ივნისს ღ. მ. თ. დასაფლავება და ცხედრის გამოსვენება 5 ივნისს დღის 4 საათზე კომის სახელობის საავადმყოფოდან.
№ 1120—1—1

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კურსის მსმენელი
ნინო ივანეს ასული მიქაძე
3 ივნისს დილის 6 საათზე არამიანცის საავადმყოფოში, რასაც აუწყებენ [illegible] მშობლები შვილებითურთ ივანე როსტომის ძე მიქაძე, [illegible] მახარობლის ასული მიქაძისა, შვილები: ნიკოლოზ, თამარი, გიორგი და ელენე ნათესავთ და მეგობრებს. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 5 ივნისს. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან 5 საათზე (საღამოს) პეტრე პავლეს ეკლესიაში (ავლაბარში) და იქვე დასაფლავება. პანაშვიდი ოთხშაბათს 7 საათზე არამიანცის საავადმყოფოში.
1119 2-1

დამწუხრებულნი მშობლები ეკატერინე ანტონის ასული და მიხეილ ნიკოლოზის ძე ქავთარაძეები—შვილები მარგარიტა, თამარი და [illegible], გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 31 მაისს დილით შაბათს ცოტა ხნის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პირველთა უსაყვარლესი შვილი, ხოლო დანარჩენთა ძვირფასი ძმა, მეშვიდე კლასის ტექნიკუმის მოწაფე
ნიკოლოზ მიხეილის ძე
ქავთარაძე
პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, დასაფლავება მოხდება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება საკუთარ სახლიდან კარიჩნის ქუჩა № 37, ოთხშაბათს, 4 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე.
1107 2-2

შაქრის ტრესტი
ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, ტელეფონი 19—63
ჰყიდის ყველასათვის [illegible]
რაფინადის შაქრის [illegible]
ფუთს 8 მან 50 კაპ. 2—1

იყიდება ავტომობილი
„პეჟო“
მიმართეთ პირობების გასაგებად შემდეგი მისამართით: რუსთველის პრ. № 22, ეზოში.
3—3.—ნ. 1187.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ [illegible]
ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის
ნდღლობით. ტფილისი, კორგანოვის ქ. № 20. 126—35-11

ქ. თბილისის მე-3—4 რაიონების სასამართლო აღმასრულებელი
ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ ის 11 ივნისს, 1924 წ. დღის 12 საათზედ საჯარო ვაჭრობით გაყიდის სახლში № 22 არსებულ შპალერს, არისტაკეს არაქელიანცის მოძრავ ქონებას, სპარსული ხალიჩებს და შეფასებულს 110 მანეთად, [illegible] ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე 4 რაიონის სახალხო სასამართლოს აპრილის 1924 წ. თარიღით № 490, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლის.
სასამართლო აღმასრულებელი ა. გეგეჭკორი.
1111 1-1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი მასწავლ. თ. [illegible] სახელზე № 26 და ორდერი ოთახებზე [illegible] რაიკ. № 224 ჩაითვალოს გაუქმებულად.
1116 1-1

დაიკარგა [illegible] პასპორტი და სამხედრო ბილეთის [illegible] იულონ ჯანიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1112 1-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული სახ. უნივერსიტეტიდან [illegible] შანიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1114 1-1

დაიკარგა სადარაჯო ბარათი მოცემული წელს 1 [illegible] რაიონის რწმუნებულიდან [illegible] ბაქრაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
1118 1-1

სტამბა „მუშათა [illegible]“ [illegible]